გაზეთი ხვალის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

№17 (1658) 17 — 23 მაისი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რიტუალური მკვლელობა თბილისში – რატომ მოკლეს ადვოკატი

საბედისწერო ბიჟუტერია და შემთხვევის ადგილზე დატოვებული ბანქოს სამი „მეფე“

როგორ იყენებს უშიშროება უმცირესობის თემას პროვოკაციებისა და მასების მართვისთვის

რა მოხდა თბილისში 2013 წლის 17 მაისს – სპეცსამსახურის თანამშრომლის სკანდალური მონათხრობი

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

„თუ გარუსების პროცესი ვერ შეჩერდა, სააკაშვილის პატიმრობა გაგრძელდება“

რა ხდება ენმ-ში – ინტერვიუ ირაკლი ფავლენიშვილთან

პაატა დავითაია: „პუტინის ეს გადაწყვეტილება აგრესიული ნაბიჯია კანდიდატის სტატუსის არმისაღებად!“

როგორ შეხვდნენ ოკუპირებულ სოხუმსა და აფხაზეთში რუსეთთან უვიზო რეჟიმის გაუქმებასა და პირდაპირი ფრენების აღდგენას

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 14 პირია დაკავებული.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.ბ. თბილისში დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, კუსტარულად გადაკეთებული პისტოლეტი, 2 მჭიდი და სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 110 ვაზნა.

ამავე დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1973 წელს დაბადებული დ.ჯ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცავებმა საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად „ჩეზეს“ სისტემის პისტოლეტი, მჭიდი და 57 ვაზნა ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოსა და დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული ნ.ლ. და 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ვ.ა., ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, სხვადასხვა დროს დააკავეს.

პოლიციამ ნ.ლ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი, ხოლო ვ.ა.-ს საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულია 2 პისტოლეტი, 2 მჭიდი და ვაზნა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1986 წელს დაბადებული ლ.ხ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს. ლ.ხ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 6 ვაზნა.

ამავე დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1992 წელს დაბადებული ტ.ზ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაკავებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას, კარაბინი და ოპტიკური სამიზნე ნივთმტკიცებად ამოიღო.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს ორი პირი დააკავეს. 1987 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ზ.ს.-ის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და 16 ვაზნა. 1959 წელს დაბადებული ვ.ა.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი პოლიციამ ამოიღო 2 სანადირო თოფი, „ეკოლის“ სისტემის პისტოლეტი, კარაბინის სისტემის თოფი, სანადირო თოფის ლულა, კარაბინის თოფის 3 ვაზნა, საზენიტო იარაღის ვაზნა, „ეფ 1“-ის ტიპის ხელყუმბარა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 2 მჭიდი.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს სამი პირი დააკავეს. პოლიციამ 1968 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.ი.-ის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოების ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 14 ვაზნა. 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.ი.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად კი ნივთმტკიცების სახით ამოღებულია გადაჭრილი სანადირო თოფი, დანა ქარქაშით, სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 43 ვაზნა და ნარკოტიკული საშუალება. რაც შეეხება 1978 წელს დაბადებული გ.ქ.-ს, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს გადაჭრილი სანადირო თოფი და 3 ხელყუმბარა.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დმანისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1980 წელს დაბადებული რ.გ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლსა და ფარეხში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს რევოლვერი, სანადირო თოფი და 23 ვაზნა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) სამმართველოს, მესტიის რაიონული სამმართველოს და ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, სხვადასხვა დროს ორი პირი – 1976 წელს დაბადებული გ.ა. და 1976 წელს დაბადებული მ.ჭ. დააკავეს. სამართალდამცველებმა გ.ა.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს ხელყუმბარა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 118 ვაზნა. მ.ჭ.-ს სახლიდან საცხოვრებელი სახლიდან კი ამოღებულია შაშხანა, 6 მჭიდი, ხელყუმბარა, პისტოლეტი და 123 ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ასევე 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ისრაელის ეროვნული პოლიციის ხელმძღვანელი სტუმრობს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისრაელის ეროვნული პოლიციის დელეგაცია, ისრაელის ეროვნული პოლიციის კომისრის იაკოვ შაბთაის ხელმძღვანელობით, ოფიციალური სამუშაო ვიზიტით ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური შეხვდა.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე შალვა ბედოიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან ახობაძე.

შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებულ თანამშრომლობასა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ვახტანგ გომელაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, შესაბამისად, საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისრაელთან სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის გაფართოება და გამყარება. ვახტანგ გომელაურმა ასევე აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში, საქართველოს პოლიციის ატაშე გაემგზავრება ისრაელის სახელმწიფოში და მადლიერება გამოხატა ისრაელის მხარის მიმართ, ქართველი პოლიციის ატაშეს მიღებაზე გამოხატული მზაობისთვის.

შეხვედრის ფარგლებში, იაკოვ შაბთაიმ აღნიშნა, რომ ისრაელის მხარე მზადაა, საქართველოსთან განაგრძოს ინტენსიური თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით და იმედი გამოთქვა, რომ საერთო ძალისხმევით, ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდება. ისრაელის ეროვნული პოლიციის დელეგაცია საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებს ეწვევა და ადგილზე გაეცნობა მათი მუშაობის სპეციფიკას.

როგორ იყენებს უშიშროება უმცირესობის თემას პროვოკაციებისა და მასების მართვისთვის

ნინო დოლიძე

რა მოხდა თბილისში 2013 წლის 17 მაისს – სპეცსამსახურის თანამშრომლის სკანდალური მონათხრობი

დღეს 17 მაისია – ერთ-ერთი ყველაზე მარაზმული დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში ანუ მიუხედავად იმისა, რომ უწმინდესის გადწყვეტილებით, 17 მაისს ოჯახის სიწმინდის დღე აღინიშნება, ათი წლის წინანდელი 17 მაისის ქრონიკა თაობებს შეახსენებს, რომ იყო დრო, როცა ღვთისმშობლის წილხვედრში, განსხვავებულ ადამიანებს „ტაბურეტკებით“ სდევდნიდნენ! იმ სისხლიანი 17 მაისის შემდეგ, კიდევ არაერთი სისხლიანი 17 მაისი „დადგა“ ამ ქვეყანაში, თუნდაც ლექსო ლაშქარავას გარდაცვალება, ან ზოგიერთის დღევანდელი კრიტიკა რად ღირს, მაგრამ ადამიანებზე ნადირობის, ასე ვთქვათ, საეტაპო თარიღი მაინც 2013 წლის 17 მაისია... მოკლედ, ზუსტად ათი წლის წინ, 2013 წლის 17 მაისს, საქართველოს დედაქალაქის მთავარი გამზირი ბრძოლის ველს ჰგავდა – რუსთაველზე „ტაბურეტკებით“ შეიარაღებულმა წვეროსნებმა და სასულიერო პირებმა ისეთი ყიჟინა დასცეს, გეგონებოდათ, ერი ოკუპანტი რუსეთის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეიკრა და ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას ცდილობსო. არადა, ყველაფერი გაცილებით მარტივად იყო – ლგბტ თემის რამდენიმე აქტივისტი ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს აღნიშნავდა და მთელი თუ არა, ლამის ნახევარი ქვეყანაც ამ რამდენიმე აქტივისტის წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა. მართალია, ზოგადად, იმის შესახებ, რეალურად რა მოხდა 2013 წლის 17 მაისს, ბევრი ითქვა და დაიწერა და, შესაბამისად, დეტალებში შესვლას, ალბათ, აზრი არც აქვს, მაგრამ მოდით, ამთავითვე ვთქვათ, რომ ყველაფერს, რაც მაშინ მოხდა, პროვოკაციის ელფერი დაჰკრავდა.

ვინ მოაწყო, ან ვის აწყობდა პროვოკაცია? – ეს, ერთი შეხედვით, რიტორიკული კითხვაა, მაგრამ ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურ კულუარებში არიან ჩახედულები და პოლიტიკურ თამაშებშიც ერკვევიან, დღემდე ირწმუნებიან, უფრო სწორად, ეჭვობენ, რომ 17 მაისის მოვლენების კვალი, შესაძლოა, რომელიმე მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურამდე მივიდეს. რაკი მსჯელობაში სპეცსამსახური შემოვიტანეთ, აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მიმართ ინტერესი მხოლოდ მეზობელ „ერთმორწმუნე“ რუსეთს კი არა, სხვა სახელმწიფოებსაც აქვთ. ამასთან, გამოცდილი სპეცსამსახურელები ამბობენ, რომ შეიძლება, არსებობდეს ორი მეგობარი ქვეყანა, მაგრამ არ არსებობს ორი მეგობარი სპეცსამსახური. ერთი სიტყვით, თუ გავყვებით ვერსიას, რომ 2013 წლის 17 მაისი უცხო ქვეყნის უშიშროების ორგანოს კისერზეა, მაშინ ნებისმიერ უცხო ქვეყანას ეჭვის თვალით უნდა შევხედოთ, თუმცა მოდით, გამორიცხვის მეთოდი გამოვიყენოთ და ვთქვათ, ვის აწყობდა და აწყობს საქართველოში არეულობა-დესტაბილიზაცია? ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიას მეტ-ნაკლებად კარგად იცნობს, იცის, რომ 1800-იანი წლებიდან მოყოლებული, „მზის და ვარდების მხარის“ გადაყლაპვას ჩრდილოეთი ლამობს. ახლა, შეიძლება, ვინმე შემოგვედავოს, ყველაფერს რუსეთს რატომ აბრალებთო, მაგრამ ქალბატონებო და ბატონებო, კი არ ვაბრალებთ, უბრალოდ, ფაქტებით, ამასთან, იმ კულუარული ინფორმაციით ვმსჯელობთ, რომელიც „ვერსიას“ ჯერ კიდევ 2013 წელს მოაწოდეს. ჩვენი გამოცემის ერთ-ერთი კონფიდენტის მიერ მოწოდებული ცნობა კი ასეთია:

„პუტინი არც მალავს, რომ მისი მიზანია, რუსეთს საბჭოთა კავშირის კი არა, ცარიზმისდროინდელი დიდება დაუბრუნოს. ამიტომაც, ყველაფერზე მიდის. ამასთან, ვლადიმერ ვლადიმერის ძემ, რომელიც „კა გე ბე“-ს ტიპური პროდუქტია, კარგად იცის, რომ ბოლშევიკების ერთ-ერთი მთავარი შეცდომა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გალაშქრება იყო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იგივე მეორე მსოფლიო ომის დროს, რუსეთის ძალიან ბევრი მოქალაქე გერმანიას ფარულად იმიტომ გულშემატკივრობდა, რომ ეგონა, თუ კომუნისტები დამარცხდებოდნენ, ფაშისტები, მინიმუმ, თავისუფლად ლოცვის უფლებას მისცემდნენ. მართალია, ამის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი, მაგრამ საბჭოთა უშიშროების არქივებს თუ კარგადად გაეცნობით, მიხვდებით, მაგალითად, მითი იმის თაობაზე, რომ მოსკოვის ალყის დროს, სტალინს თითქოს ღვთისმშობელი გამოეცხადა, სპეციალურად პარტიულ ორგანოებში შეიქმნა და ხალხშიც პარტმუშაკებმა გაავრცელეს. ზოგადად, საბჭოთა მითები ძალიან საინტერესო თემაა, მაგრამ ამაზე საუბრით სიტყვა გამიგრძელდება. ამიტომ, კონკრეტულად 17 მაისზე გეტყვით ჩემს მოსაზრებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მარტო საქართველოში კი არა, თითქმის ყველა ყოფილ ე.წ. მოძმე რესპუბლიკაში, უხეშად რომ ვთქვა, რელიგიის ბუმი დაიწყო, მაგრამ იმისთვის, რომ ხალხში რწმენა შენარჩუნდეს, გარკვეული გამაღიზიანებელია საჭირო. ერთ-ერთ ასეთ გამაღიზიანებლად ლგბტ თემი იქცა. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ ეს დემონიზაცია თავისით არ მომხდარა და ყველაფერ ამაში უშიშროების ხელი უნდა ერიოს.

ისე, მგონი, ადრეც გითხარით, რომ მოსკოვში დღესაც მუშაობს რუსეთის სტრატეგიული კვლევების ცენტრი, რომლის რეკომენდაციებსაც კრემლთან ერთად, „ეფ ეს ბე“ და იგივე „გე რე უ“-ც არამცთუ ითვალსიწინებს, **არამედ, ზედმიწევნით ასრულებს. ჰოდა, რატომღაც მგონია, რომ ზემოხსენებული თემით აპელირების სცენარიც, სწორედ ამ სტრატეგიულმა კვლევითმა ცენტრმა შეიმუშავა. ამ ეჭვს ისიც მიძლიერებს, რომ მოსკოვში ქართველების ეთნო-ფსიქოლოგიური ასპექტები კარგად აქვთ შესწავლილი“.**

კონფიდენტის მონათხრობში სიმართლის მარცვალი არის – დიახ, საქართველო იმთავითვე ტრადიციების პატივისმცემელი ქვეყანაა და შესაბამისად, თბილისის მთავარ გამზირზე, თუნდაც რამდენიმე ლგბტ აქტივისტის მიერ გამართულ აქცია-პერფომანსს მოსახლეობის უმეტესობა, როგორი ლიბერალიც უნდა იყოს, არ შეეგუება.

„მე თუ მკითხავთ, ქუჩაში გამოსვლა შესაძლოა, არც ამ აქტივისტებს უნდოდათ, მაგრამ იძულებულნი გახდნენ, ისე მოქცეულიყვნენ, როგორც უბრძანეს. ამასთან, პირადად მე, არც იმას გამოვრიცხავ, რომ გარკვეულ ძალადობას ადგილი მრევლისა და ეკლესიის წარმომადგენლების მიმართაც ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში, მაქვს დაუდასტურებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 17 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე, კონკრეტული „ტიპი“ ეკლესიის რამდენიმე მსახურთან მივიდა და დაემუქრა, თუ 17 მაისს ქუჩაში არ გახვალთ და დებოშს არ მოაწყობთ, რაც დაგემართებათ, თქვენს თავს დააბრალეთო. ეს ინფორმაცია, თავის დროზე, შემოგდებული მეგონა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დეკანოზი გიორგი მამალაძე დაიჭირეს, 2013 წლის მოვლენები კიდევ ერთხელ გავაანალიზე და რატომღაც მგონია, რომ 17 მაისი და „ციანიდის საქმე“ ერთი ჯაჭვია ანუ იმის თქმა მინდა, რომ 17 მაისმა, როცა რუსთაველზე „ტაბურეტკებიანი“ მღვდლები დარბოდნენ, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის იმიჯი დააზარალა. „ციანიდის საქმეც“, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეკლესიას „ურტყამს“. სხვათა შორის, როგორც მითხრეს, მას მერე, რაც დეკანოზი დააკავეს, თბილისში, ეკლესიების შემოწირულობა საგრძნობლად შემცირდა, მაგალითად, სამების საკათედრო ტაძრის ყოველთვიურმა შემოწირულობამ 25-30 პროცენტით იკლო, – ამბობს „ვერსიის“ ინფორმატორი და აქვე, აქცენტს კიდევ ერთ ნიუანსზე აკეთებს, – **ცოლშვილი მეც მყავს და იმის საწინააღდეგო არაფერი მაქვს, რომ ოჯახის სიწმინდის დღე აღინიშნებოდეს, მაგრამ მე, როგორც სპეცსამსახურელი, ამას უსაფრთხოების ჭრილში განვიხილავ ანუ იმის თქმა მინდა, რომ ოჯახის სიწმინდის დღედ მაინცდამაინც 17 მაისის გამოცხადება ერთგვარი პროვოკაცია მგონია. კერძოდ, იმის თქმა მინდა, რომ ყოველ წელს იარსებებს არეულობის საბაბი: მრევლი ოჯახის დღეს აღნიშნავს, ლგბტ თემის წარმომადგენლები კი საკუთარი უფლებების დაცვას მოინდომებენ და შესაძლოა, იმ მასშტაბით არა, მაგრამ 2013 წლის მოვლენების რეინკარნაცია მოხდეს. ზოგადად, ნებისმიერმა საშუალო დონის სპეცსამსახურელმაც კი იცის, იმისთვის, რომ კონფლიქტი გაჩნდეს, ორი დაპირისპირებული მხარეა საჭირო. დღევანდელი მოცემულობით, ეს დაპირისპირებული მხარეები სახეზე არიან და ზუსტად ამიტომ მგონია, რომ 2013 წლის 17 მაისის კვალი, პირდაპირ თუ ირიბად, უცხო ქვეყნის უშიშროების ორგანოებამდე მიდის“,** – აღნიშნავს „ვერსიასთან“ საუბრისას წყარო, რომელიც თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ვინაობას არ ასაჯაროებს.

სხვათა შორის, 2013 წლის 17 მაისის მოვლენები საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე სერიოზულად აისახა, თუმცა მიუხედავად ამისა, ვიზალიბერალიზაცია მაინც მივიღეთ.

დღეს ე.წ. ჰომოფობიური რიტორიკა ისევ აქტუალურია და ამის გამო, თუ იგივე კანდიდატის სტატუსს ვერ მივიღებთ, საქართველოს „ხსნად და იმედად“ რუსეთი მოევლინება. პრინციპში, მას შემდეგ, რაც პუტინმა საქართველოსთან უვიზო რეჟიმი გააუქმა და პირდაპირი ფრენებიც აღადგინა, ამ „ხსნისა და იმედის“ კონტურები უფრო გამძაფრდა, თუმცა ყველა გამოკითხვა მოწმობს, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას „მოსკოვებსა“ და „როსტოვებში“ კი არა, ცივილური ევროპის ქვეყნებში ურჩევია, თუნდაც საზაფხულო არდადეგების გატარება.

ასე რომ, რუსული პროვოკაციების მიუხედავად, წინ, ევროპისაკენ!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„თუ გარუსების პროცესი ვერ შეჩერდა, სააკაშვილის პატიმრობა გაგრძელდება“

რა ხდება ენმ-ში – ინტერვიუ ირაკლი ფავლენიშვილთან

იუსტიციის მინისტრის, რატი ბრეგაძის განცხადებით, სტრასბურგის სასამართლომ უარი უთხრა მიხეილ სააკაშვილს დროებით ღონისძიებად ვარშავაში სამკურნალოდ გადაყვანაზე... მას შემდეგ, რაც საქმეზე „მიხეილ სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ სტრასბურგის სასამართლომ ყოფილ პრეზიდენტს დროებითი ღონისძიების გამოყენებაზე უარი უთხრა, სააკაშვილის ადვოკატები სამართლებრივი არგუმენტების წარდგენას საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე გეგმავენ.
„ვერსია“ ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრ ირაკლი ფავლენიშვილს ესაუბრა:

– მიხეილ სააკაშვილის საქმესთან დაკავშირებით, მთავარი სამართლებრივი გადაწყვეტილება დადგება მაშინ, როცა საქმის არსებითი განხილვა დასრულდება. სტრასბურგის გადაწყვეტილება ეხებოდა არა სააკაშვილის უფლებების შელახვას, არამედ, უშუალოდ ვარშავაში ჰუმანიტარულ ტრანსფერს და სტრასბურგის პრაქტიკაშიც ამის სულ ორი პრეცედენტი იყო. რა თქმა უნდა, უკეთესი მოლოდინი გვქონდა, სტრასბურგის სასამართლოს არსებით გადაწყვეტილებას კი უფრო დიდი იმედით ველოდებით.

– მკითხველისთვის განვმარტოთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამოტანილ სასჯელთან დაკავშირებით, სტრასბურგში გაგზავნილია სარჩელი და ელოდებით არსებით განხილვას...

– დიახ. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება მესამე პრეზიდენტის საქმეზე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა უკვე არსებობს ბევრი საერთაშორისო პოლიტიკური დოკუმენტი, სადაც საუბარია მის წამებაზე, არაადამიანურ მოპყრობაზე. ამიტომაც პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებათა ნაკლებობას ეს საქმე და თავად მიხეილ სააკაშვილი არ განიცდის.

– ახლა რა სტრატეგია აქვს პარტიას ანუ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაყვანის შესახებ, სხვა რა ალტერნატიული გეგმა არსებობს?

– შეუძლებელია, ფორმაში არმყოფი პარტიის პირობებში მოხდეს პრეზიდენტის ტყვეობიდან დახსნა. ამიტომ, მნიშვნელოვანია შიდაარჩევნები და ათასობით ადამიანი რეგისტრირდება რაიონულ ორგანიზაციებში თავმჯდომარის არჩევნებზე, რაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესია, რადგან ცოცხალი პოლიტიკური პროცესი პარტიაზე ყოველთვის დადებითად მოქმედებს. რაიონული ორგანიზაციების უფრო გაძლიერება და მეტი ადამიანის ჩართვა პარტიის საქმიანობაში ერთ-ერთი ინსტრუმენტია. საპროტესტო აქციები არასდროს შეგვიწყვეტია, ახლა ზეპარტიული კონსენსუსიცაა ბევრ სხვა საკითხზე, ბატონი სააკაშვილიც, ალბათ, ზოგად კონტექსტში განიხილავს, მათ შორის, გარუსების პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებს „ოცნება“ და უპირისპირდება ხალხი. ეს მოიცავს მის პრობლემასაც ანუ თუ გარუსების პროცესი ვერ შეჩერდა, მისი პატიმრობა გაგრძელდება, მაგრამ ჩვენ გვაქვს არა მხოლოდ ოპტიმიზმი, არამედ, კონკრეტული ხედვა, გეგმა და ვთანამშრომლობთ სხვა პარტიებთანაც, რომ გარუსების პოლიტიკა შეჩერდეს.

– მაინც, რა გეგმა გაქვთ?

– ეს არის საპროტესტო აქციები, რომელსაც მალე იხილავს საზოგადოება. ჩვენ ვნახეთ სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების მაქსიმალური გაერთიანება, მარტის აქციები საკმაოდ წარმატებულად დაგვირგვინდა შედეგის თვალსაზრისით. მსგავსი ტიპის საპროტესტო აქციები იქნება, გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა სტრატეგიულ პარტნიორებთან, მათ შორის, იმ „სვეტების“ სანქცირებაზე, რომლებზეც დგას ოლიგარქიული რეჟიმი. სასამართლო კლანის წარმომადგენლები დასანქცირდნენ და ეს პროცესი გაგრძელებადია... ანუ ბრძოლის საკმაოდ ბევრი პოლიტიკური ინსტრუმენტი გვაქვს...

– რუსეთის მიერ უვიზო რეჟიმის შემოღების გამო, იგეგმება მასშტაბური აქციები მარტის მოვლენების მსგავსად?

– სანამ ზუსტად არ დაიგეგმება აქტივობა, მსგავსი განცხადებებისგან თავს შევიკავებ. ამ ეტაპზე, შემიძლია ვთქვა, რომ კონსულტაციის ფარგლებში აქტიურად მიდის საუბარი საპროტესტო აქციებზე.

– სხვათა შორის, შიდაპარტიული არჩევნების შეწყვეტისკენ მოგიწოდათ ნიკა მელიამ, რომელიც მიიჩნევს, რომ რაიონული არჩევნები ახლა ასუსტებს პარტიას...

– პოლიტიკური პროცესი თუ კვდება, ეს პარტიაზე კარგად არ აისახება. რაც უნდა მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე იდგას პარტია, პოლიტიკური პროცესის შეჩერება ნიშნავს, რომ პარტია ატროფირებას განიცდის და თუ შიდაპარტიულ დემოკრატიას ვინმე საფრთხედ აღიქვამს, ეს შეცდომაა.

– ნიკა მელია ღიად აკრიტიკებს პარტიის ახლანდელ „ლიდერშიფს“ სააკაშვილთან დაკავშირებით უმოქმედობის გამოც, თუ მე მაკრიტიკებდით, თქვენ რატომ ვერ იხსნით სააკაშვილს ციხიდანო... რას უპასუხებთ?

– ნიკა მელიას მიმართ, ამ კუთხით, მე პირადად არასდროს გამომითქვამს პრეტენზია. ეს, უბრალოდ, პროპაგანდისტული გზავნილია, რომ თითქოს მთავარი უკმაყოფილების საგანი იყო სააკაშვილის პატიმრობიდან ვერგამოხსნა. მთავარი პრობლემა იყო, რომ პარტიაში არ ჩანდა პოლიტიკური პროცესი და საჭირო იყო განახლება, რასაც გრძნობდა ბევრი ადამიანი და ეს დამტკიცდა ყველა დონეზე. რაც შეეხება მისი და მისი გუნდის განცხადებებს, სამწუხაროა, რომ წინასაარჩევნო დღის წესრიგი ვერ დაამარცხეს, რომელიც ამ შოდაარჩევნებში მათთვის წარუმატებელი აღმოჩნდა.

– პარტიის პოლიტიკური აქტიურობა ახლა რაში გამოიხატება? შეიძლება, გარედან არ ჩანს და იქნებ, თქვენ თქვათ...

– ვამბობ, რომ სათანადოდ აქტიური არ იყო პარტია.

– ჰოდა, რა იყო არასწორი და რა ხდება ახლა სწორად?

– ოფისები გაიხსნა რეგიონებში, ლოგისტიკისა და ინფრასტრუქტურის პრობლემა იყო. ბევრი ადამიანი იყო დარჩენილი ინფრატსრუქტურის გარეშე. მაგალითად, ჩემთვის პრობლემა იყო, რომ... მიხეილ სააკაშვილის ფაქტორზე როცაა საუბარი, პრობლემა ის კი არ იყო, რომ მისი გამოხსნა ვერ ხდებოდა, არამედ ის, რომ როგორც ჩვენგან ისმის – „ჩვენ ვართ მიხეილ სააკაშვილის პარტია“ – ეს რიტორიკა არ იყო წინა პერიოდში ისე აქტიურად თავმჯდომარის მხრიდან. მიხეილ სააკაშვილის პარტიაა, თავმჯდომარე იყო წლების მანძილზე და მერე ამომრჩეველმა ისურვა სხვა თავმჯდომარედ. სულ რომ ნიკა მელია ყოფილიყო უფრო ძლიერი თავმჯდომარე და წასულიყო, ეს პრობლემა არ იქნებოდა, რადგან ნაცმოძრაობას ჰყოლია ბევრი თავმჯდომარე და მუდმივად იცვლებიან თავმჯდომარეები, ამიტომაც პრობლემა ეს კი არ არის...

– ბატონო ირაკლი, რაზეც ახლა საუბრობთ, არ მიუთითებს არაფორმალურ მმართველობაზე, რის გამოც აკრიტიკებთ სახელისუფლებო პარტიას? იმას გულისხმობთ, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება პარტიის თავმჯდომარე, მთავარია, რომ სააკაშვილის არის პარტია?

– არასწორად აღიქვით ფრაზა „მიხეილ სააკაშვილის პარტია“. ეს არ ნიშნავს, რომ სააკაშვილი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს, რადგან ახლა საერთოდ არ არის ჩართული პარტიულ გადაწყვეტილებების მიღებაში ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. უბრალოდ, სააკაშვილის პარტია ნიშნავს, რომ ეს პარტია არის მის იდეებსა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული. ეს იდეები და მემკვიდრეობა კი იმდენად ძლიერია, რომ კონკრეტული პერსონები არ წარმოადგენენ ე.წ. game changer-ის ტიპის აქტორებს. შეიძლება არსებობს პარტია, სადაც თავმჯდომარე რომ წავიდეს, შეიძლება პარტიაში სერიოზული პრობლემები მოხდეს, ხოლო ნაციონალური მოძრაობა უკავშირდება კონკრეტულ ადამიანს გამომდინარე იქიდან, რომ ეფუძნება მის პოლიტიკურ დოქტრინას, მემკვიდრეობას, მათ შორის, ცხრაწლიანი მმართველობის დროს გატარებულ რეფორმებს. ამიტომაც, ნაციონალურ მოძრაობაში თავმჯდომარეებს ელექტორალურადაც არ აქვთ იმხელა მნიშვნელობა და ეს არაფორმალურ გავლენაზე არ მიუთითებს. ეს ნაციონალური მოძრაობის არსია, იმიტომაც ვერ მოხერხდა ამ პარტიის დამარცხება, რომ ყოფილა თავმჯდომარე, რომელიც წავიდა პარტიიდან, ყოფილან მენეჯმენტის წევრები, რომლებმაც სხვა პარტია დააარსეს, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობას კვლავინდებურად ჰყავს დიდი ელექტორატი და ვერავინ ახერხებს მის დაშლას. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს არის მიხეილ სააკაშვილის იდეების პარტია და კონკრეტული პერსონალიები არ არიან იმდენად გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონენი.

– როგორ ფიქრობთ, მაინც სადამდე მივა ეს შიდაპარტიული დაპირისპირება და გამოსავალს სად ხედავთ?

– შიდაპარტიულ დაპირისპირებას არ აქვს იმხელა გავლენა, რომ ამის გამო გადაულახავი პრობლემები შექმნას... არავის გარიცხვას არ ვაპირებთ, ეს არაერთხელ ითქვა ჩვენი მხრიდან, უბრალოდ, ადამიანი, რომელიც პარტიას თავს ესხმის, შეუძლებელია, აღიქვა პარტიის სრულუფლებიან წევრად იმ მხრივ, რომ თუ პარტიის წევრი ხარ, მის დღის წესრიგსა და იდეებს უნდა იზიარებდე. ხოლო თუ გგონია, რომ ეს პარტია არის მიუღებელი, ამორალური, პოლიტიკურად არასწორი, ამ პარტიის წევრობაც ალოგიკური გამოდის, მათივე ლოგიკიდან გამომდინარე.

პაატა დავითაია: „პუტინის ეს გადაწყვეტილება აგრესიული ნაბიჯია კანდიდატის სტატუსის არმისაღებად!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

როგორ შეხვდნენ ოკუპირებულ სოხუმსა და აფხაზეთში რუსეთთან უვიზო რეჟიმის გაუქმებასა და პირდაპირი ფრენების აღდგენას

რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა და საქართველოსთან პირდაპირი ავიამიმოსვლა აღადგინა. პუტინის ეს გადაწყვეტილება ძალაში 15 მაისს შევიდა. ცნობისთვის: საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები 2008 წელს, აგვისტოს ომის გამო შეწყვიტა. 2012 წლის თებერვალში, საქართველომ რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გააუქმა. 2019 წლის ზაფხულიდან, პრეზიდენტ პუტინის გადაწყვეტილებით, რუსეთმა საქართველოსთან პირდაპირი ავიამიმოსვლა შეწყვიტა, რასაც წინ უძღოდა რუსული ოკუპაციის საწინააღმდეგო აქციები.

რუსეთის აღნიშნულ გადაწყვეტილებას საქართველოს ხელისუფლება მიესალმება, რადგან მიიჩნევს, რომ ეს საკითხი მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკურ ჭრილში განიხილება და სხვა საფრთხე არ არსებობს. პრეზიდენტ ზურაბიშვილის თქმით კი, „ოკუპანტის ასეთი ჟესტი უდროო და მიუღებელია“... საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების, ევროკავშირისა და აშშ-ს წარმომადგენლების განცხადებების მიხედვით, რუსეთის მხრიდან აღნიშნული გადაწყვეტილება საფრთხის შემცველია.

„ვერსია“ პუტინის გადაწყვეტილებაზე პარტია ევროპელი დემოკრატების ლიდერ პაატა დავითაიას ესაუბრა:

– ზოგი ცდილობს, პოზიტივად მონათლოს ეს გადაწყვეტილება, მაგრამ დააკვირდით, როგორი სიტუაციაა – რუსეთს ერთი ვალდებულებაც არ შეუსრულებია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ყველა ხელშეკრულება, სამშვიდობო შეთანხმებები, აფხაზეთში სამშვიდობო ძალების საოკუპაციო ძალებად გადაქცევა, 2008 წლის შეთანხმება ჯარის გაყვანის შესახებ... არაფერი შეასრულა, ბორდერიზაციასა და ათას უბედურებას აკეთებს, ამ ფონზე, ვითომ გაეხსნა „სიყვარულის ბუშტი“ საქართველოს მიმართ და მოხსნა სავიზო რეჟიმი. რა თქმა უნდა, ცალმხრივად მოხსნა და მისი პრეროგატივაა, მაგრამ ეს რეალურად იმის გამო ხდება, რომ ჩვენ ამ წლების განმავლობაში, სერიოზულად დავშორდით რუსეთს და პრაქტიკულად, მივუკაკუნეთ ევროკავშირის კარს. დღე-დღეზე, კანდიდატის სტატუსიც უნდა მივიღოთ, რაც უნდა დაპირისპირებაში ვიყოთ, მაინც ახლოს ვართ...

ერთ ფაქტს გაგახსენებთ – 2006 წელს, რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე განიხილებოდა საქართველოს წინააღმდეგ ბერკეტების გამოყენება და ორი გეგმა ჰქონდათ: ეკონომიკური და სამხედრო. მაშინ სამხედრო გეგმამ გაიმარჯვა და 2008 წელს, ამას მოჰყვა ომი. ახლა, როგორც ჩანს, ამუშავდა ეკონომიკური დოქტრინა, რაც ნიშნავს, თითქოს ვიზის გაუქმებას, დაახლოებას, მით უმეტეს, უკრაინის ომის ფონზე... ამას ხაზს ვუსვამ, რადგან ქვეყანა, რომელიც მიდის ევროკავშირისკენ, უცებ ძალიან კარგად არის რუსეთთან – ეს შეაფერხებს სვლას ევროინტეგრაციისკენ.

– ესე იგი, ფიქრობთ, რომ რასაც ომით ვერ მიაღწია რუსეთმა საქართველოში, ახლა „რბილი ძალის“ გამოყენებით ცდლობს?

– კი, მაგრამ ჩვენ ამაში არაფერს მივიღებთ. მეცინება, ადამიანები რომ ამბობენ, ახლა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს დაგვიბრუნებსო... ვინც ამას ამბობს, რუსეთის გავლენის აგენტია! რადგან არავის არაფერს დაუბრუნებს, პირიქით, სერიოზული ინტეგრაცია მიმდინარეობს, გუშინ გავიდა პირველი სწრაფმავალი მატარებელი სოჭი-გაგრას მიმართულებით. ამიტომ, რა დაბრუნებაზეა საუბარი?!

– დიპლომატების ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთმა ეს ნაბიჯი გადადგა, რადგან საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების რეალური საფრთხე დაინახა. უკრაინის ომის ფონზე კი ეს საკითხი რუსეთისთვის მნიშვნელოვანია... როგორი უნდა იყოს ასეთ დროს საქართველოს ხელისუფლების პოზიცია?

– ხელისუფლების განცხადებები მისასალმებელი შინაარსის არ უნდა იყოს. ვიმეორებ, კარგად მესმის, რომ ცალმხრივად მიიღო რუსეთმა ეს გადაწყვეტილება და საქართველოს ბერკეტი არ აქვს, მაგრამ პირდაპირი ფრენების აღდგენა საქართველოსთვის ხომ დამაზიანებელია? ღიად ითქვა, რომ საქართველოდან გაფრენილი ავიაკომპანია დასანქცირდება და რუსული კომპანიები თუ შემოვლენ, შესაძლოა, საქართველო დასანქცირდეს, რადგან რუსული კომპანიების თვითმფრინავები ტექნიკურ მომსახურეობას არ გადიან...

– დიახ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საფრთხის შემცველიც კია რუსული ავიაკომპანიების თვითმფრინავები, რადგან უკრაინის ომის გამო დასანქცირების შემდეგ, რუსეთს აღარ მიეწოდება ავიარესურსი...

– დიახ. იმ მაგალითის მოყვანა, რომ რუსული თვითმფრინავები თურქეთში დაფრინავენ, არასწორია. თურქეთი არ არის ევროკავშირის წევრი ან კანდიდატი ქვეყანა, თურქეთი ასოცირებული წევრია და კანდიდატის სტატუსის მქონე არცერთ ქვეყანაში რუსული თვითმფრინავები არ დაფრინავენ. თუ ევროპულ ოჯახში მიდიხარ, მათი თამაშის წესები უნდა მიიღო.

– თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ ღიად განაცხადა, სანქცირებულ კომპანიებთან საქართველოს ურთირთობა არ ექნებაო...

– ვნახოთ, გვაჩვენებს სიტუაცია. ამასთან, როგორ გგონიათ, ქართველები იფრენენ? ქართველები იქნებიან მხოლოდ 10%, რუსები იფრენენ და ახალი ტალღის ქვეშ აღმოვჩნდებით! ყველაფერი ფული ხომ არ ღირს? ქვეყნის უსაფრთხოება ფული ხომ არ ღირს?!

– ანუ მიგაჩნიათ, რომ ამ საკითხის სავაჭრო დონეზე დაყვანა არასწორია?

– თუ ასეა, მაშინ გავაუქმოთ სუვერენიტეტი, მივუერთდეთ ნებისმიერ ქვეყანას და ვთქვათ, ვაიმე, რა კარგად ვიცხოვრებთ-თქო... მაშინ, რაში გვჭირდებოდა თავისუფლებისთვის ბრძოლა, მემორიალთან მისვლა და გვირგვინების დადება, ეროვნული გმირები – შარტავა და ანწუხელიძე?! ...

– ბატონო პაატა, მიმდინარე მოვლენების ფონზე, მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ თუ არა ოკუპაციის შესახებ კანონის გამკაცრება?

– კანონს არავინ გაამკაცრებს, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების მოქმედება უნდა ყოფილიყო ასეთი – კარგია, სავიზო რეჟიმი რომ მოიხსნა, მაგრამ პირდაპირი ფრენები არ იქნება.

– რამდენად მართებულია პარალელის გავლება 2012 წელთან, როცა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთთან სავიზო რეჟიმი გააუქმა? სხვათა შორის, აგვისტოს ომი ახალი დასრულებული იყო...

– მაშინ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მერე რომ დავფიქრდი, ეს იყო სწორი პიარნაბიჯი, რადგან რუსეთის შედარება საქართველოსთან არ შეიძლება იმიტომ, რომ რუსეთი აგრესიულია, საქართველო კი – არა. ჩვენ არ ვედავებით არავის ტერიტორიებს, რუსეთი გვედავება ჩვენ... ასე რომ, ამ პარალელის გავლება არ მიმაჩნია სწორად...

– გავრილოვზეც უნდა გკითხოთ, ეს ფიგურა მნიშვნელოვანი გახდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში 2019 წლის მოვლენების შემდეგ და ვნახეთ, როგორ აღაფრთოვანა რუსეთის გადაწყვეტილებამ სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით... თქვა, რომ ისევ აპირებს ჩამოსვლას საქართველოში. როგორ ფიქრობთ, მართლა შეექმნათ ილუზია კოლექტიურ „გავრილოვებს“, რომ სიტუაცია შეიცვალა და საქართველოში მათ ახლა კეთილგანწყობით ელოდებიან?

– გავრილოვის ეს განცხადება პროვოკაციაა. არც მიკვირს რუსებისგან ასეთი პროვოკაცია, რადგან ძალიან „ნაგლები“ არიან ამ თემიდან გამომდინარე. ფაქტი ერთია, რუსული გავლენები აქ ძლიერდება და როცა ევროკავშირში შეხვედრები მქონდა, იმიტომ ვეუბნებოდი, თუ კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემთ, ავტომატურად გაძლიერდება რუსული გავლენები-მეთქი. ეს იგივეა, მაშინ ვარშავის სამიტზე მაპი რომ არ მოგვცეს და ამას რომ მოჰყვა ომი...

– თუ ასეა, შესაძლოა, პირიქით, დააჩქაროს რუსეთის ამ გადაწყვეტილებამ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება?

– სერიოზულად ვმუშაობ ამ საკითხზე. მივწერე წერილები ევროკავშირშიც, რომ ქართველ ხალხს ეკუთვნის ეს სტატუსი.

– მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ჩემზე კარგად არავინ იცნობთ პუტინს, ამ გადაწყვეტილებით, ქართველების გულის მოგებას კი არ ცდილობს, ჯარების შემოყვანისთვის ემზადებაო. ამ საშიშროებას ხედავთ?

– რუსეთიდან ჯარის შემოსვლის საშიშროება ყოველთვის იქნება. რუსეთს არ უნდა, არსებობდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო – საქართველო. რუსეთს უნდა, ჰქონდეს გუბერნია – საქართველო. ამიტომ, საფრთხე ყოველთვის იქნება, სანამ არ აღმოვჩნდებით ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყანა, იქამდე ეს საფრთხე იქნება ყოველთვის და ნებისმიერ საბაბს გამოიყენებს, მნიშვნელობა არ აქვს, პუტინი იქნება, პუტინი 2 თუ პუტინი 3 – ყველა შეეცდება ამას. ამიტომ მივდივართ ევროკავშირსა და ნატოში, რათა უსაფრთხოების გარანტიები ჰქონდეს საქართველოს. თუ ჩვენ იქ არ შევალთ, უსაფრთხოდ არასდროს ვიქნებით.

– აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რა განწყობით შეხვდნენ რუსეთის ამ გადაწყვეტილებას უვიზო რეჟიმზე?

– იქ თავის პრობლემები აქვთ, ეწინააღმდეგებიან ბიჭვინთის გადაცემას, აქციები იწყება. ჩუმად არიან ვიზის თემაზე... პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს უვიზო რეჟიმი რუსეთის ექსპანსიისთვის და ვიღაცების აქედან ჩათრევისთვისაა, რომ რუსული განწყობები გაიზარდოს. აფხაზები ამაში საფრთხეს კი არ ხედავენ, პირიქით, ამაში გარანტიას ხედავენ, რომ საქართველო ვერაფერს გაბედავს აფხაზეთის წინააღმდეგ იმიტომ, რომ რუსეთთან იქნება მიბმული – ასე წარმოუდგენიათ.

– ესე იგი, საფრთხეს ვერც იმ გავრცელებულ ხმაში ხედავენ, რაზეც წეღან თქვენც ისაუბრეთ, თითქოს შემდეგი ნაბიჯი ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება იქნება?

– არანაირად. ყველას კარგად ესმის, რომ ასე არაა და ეს განცხადებები აქ მხოლოდ იმ ხალხისთვის ვრცელდება, ვინც საქართველოზე მხოლოდ ღვინის ჭიქასთან ფიქრობს და ჭორაობს. რუსეთის ეს გადაწყვეტილება აგრესიული ნაბიჯია საქართველოსთვის, კანდიდატის სტატუსის არმისაღებად!

რა ქონებას ფლობენ ნიკა მელია და მამუკა მდინარაძე

მაკა რუხაძე

ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ ლიდერების ქონებრივი დეკლარაციები

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას არ დატოვებს. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, ვიდრე ამ პარტიის გადარჩენის თეორიულ შანსს ვხედავ, მის დატოვებას არ ვაპირებო. მეტი დამაჯერებლობისთვის დაგვიზუსტა, ამ პარტიაში მაშინ მივედი, როცა ნაციონალური მოძრაობიდან ხალხის გადინება დაიწყოო. მოკლედ, ვიდრე ნიკა მელია გვარწმუნებს, რომ „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძსო“, „ვერსია“ მისი და „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, მამუკა მდინარაძის ქონებრივი დეკლარაციებით დაინტერესდა.

ნიკა მელიას დეკლარაცია

ვიდრე მთავარი ოპოზიციური პარტიის ყოფილი ლიდერის ქონებას გაგაცნობთ, თვალი მის ბიოგრაფიას გადავავლოთ. ნიკანორ მელია დაიბადა 1979 წლის 21 დეკემბერს, თბილისში, ცნობილი ექიმის – ანზორ მელიასა და ნანა ცაავას ოჯახში. 1996 წელს, დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო, 2002 წელს – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია სამართალმცოდნეობის სპეციალობით, 2006 წელს – ოქსფორდის ბრუქსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი და მიიღო მაგისტრის ხარისხი.

2002-2003 წლებში, ნიკა მელია საქართველოს უშიშროების სამინისტროში, გამომძიებლად მუშაობდა. 2007 წელს, მუშაობა დაიწყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვისა და მართლწესრიგის დეპარტამენტში მრჩევლად, 2007-2008 წლებში – ამავე აპარატის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში იყო მრჩევლის პოზიციაზე. 2008-2009 წლებში, აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე გახლდათ, ხოლო 2009 წლიდან – აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსი იყო.

2010 წელს, ნიკა მელია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსი იყო. იმავე წელს გახდა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს უფროსი, სადაც 2012 წლამდე მუშაობდა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2013-2014 წლებში, ნიკა მელია მთაწმინდის რაიონის გამგებელი იყო. 2014 წელს, თბილისის მერის თანამდებობაზე იყრიდა კენჭს, თუმცა „ქართული ოცნების“ კანდიდატთან დამარცხდა. ამის შემდეგ დაიწყო მელიას აქტიური პოლიტიკური საქმიანობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში.

2016-2019 წლებში, საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო, თუმცა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ, მელიას ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობისთვის ბრალი წაუყენეს, პროკურატურამ პარლამენტს მისი დეპუტატის მანდატის შეჩერების მოთხოვნით მიმართა. 26 ივნისს, საპარლამენტო უმრავლესობამ მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი მოუხსნა, თუმცა სასამართლომ ის დარბაზიდან 30 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. 2019 წლის 12 ნოემბერს, პარლამენტარს დეპუტატის უფლებამოსილება შეუჩერდა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და გაერთიანებულმა ოპოზიციამ – „ძალა ერთობაშია“ გლდანის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა. პირველ ტურში, ნიკა მელიამ მიიღო 31 391 ხმა ანუ 44.06% და პირველ ადგილზე გავიდა. მეორე ტურში მონაწილეობაზე მელიამ უარი განაცხადა, მიუხედავად ამისა, მისი გვარი დატანილი იყო საარჩევნო ბიულეტენზე და მეორე ტურში ხმების 10.64% მიიღო.

რაც შეეხება ქონებრივ დეკლარაციას, ის საკმაოდ მწირია. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ნიკა მელიას საკუთრებაშია ორი ბინა თბილისში და ავტოფარეხის 15%-იანი წილი. დეკლარაციის შევსების მომენტში, მელიას ლიბერთი ბანკის სახელფასო ანგარიშზე – 20 117 ლარი, ხოლო ნაღდი ფულადი თანხის სახით – 8 000 აშშ დოლარი ჰქონდა.

მამუკა მდინარაძის დეკლარაცია

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს, მამუკა მდინარაძეს ჰყავს მეუღლე, ნათია კუნჭულია და ორი შვილი – გურამი და კატო ჰყავს. ნათია კუნჭულია საჯარო უწყების თანამშრომელია – დეპუტატის მეუღლე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ააიპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ საქმის წარმოების მხარდაჭერის სამსახურის უფროსია.

მამუკა მდინარაძემ ქონებრივი დეკლარაცია 2023 წლის იანვარში შეავსო. ამ დოკუმეტიდან ირკვევა, რომ დეპუტატის მეუღლე ნათია კუნჭულიამ, თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევში, 2022 წელს, მიწის ნაკვეთი შეიძინა, რომელშიც 6 000 ლარი გადაიხადა. ნათია კუნჭულიას საკუთრებაშია თბილისში, 119 კვ.მ. ფართობის ბინა ცინცაძის ქუჩაზე, რომელიც 2008 წელს, 170 000 ლარად შეუძენია. ნათია კუნჭულია ფლობს 1 509 კვ.მ. მიწის ნაკვეთს თიანეთის რაიონის სოფელ ხევსურთსოფელში, რომელშიც 2021 წელს, 9 600 ლარი გადაუხდია.

მართალია, ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მამუკა მდინარაძის სახელზე უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული, მაგრამ სამაგიეროდ, გატაცებულია მხატვრობით. მაგალითად, ლადო გუდიაშვილის ნახატში (ფურცელზე შესრულებული, ფანქრით), 2010 წელს, 2 000 ლარი გადაუხდია. 2013-2014 წლებში, მდინარაძეს ბაღდავაძის სამი ტილო შეუძენია და ჯამში, 4 200 აშშ დოლარი გადაუხდია. დეკლარაციის შევსებისას, მამუკა მდინარაძეს სახელფასო ანგარიშზე ჰქონდა 37 931.47 ლარი და 412.41 აშშ დოლარი. ნათია კუნჭულიას სახელფასო ანგარიშზე – 293.35 ლარი, ხოლო საკრედიტო ანგარიშზე – 1 188.08 ლარი ერიცხებოდა.

ნათია კუნჭულიამ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში“, საქმის წარმოების დეპარტამენტის უფროსის პოსტზე, ხელფასის სახით, 37 708.91 ლარი მიიღო, ხოლო მამუკა მდინარაძემ, საქართველოს პარლამენტის აპარატში, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტზე – 54 161.98 ლარი.

ქონებრივი დეკლარაციიდან ისიც ირკვევა, რომ მამუკა მდინარაძეს ორი იპოთეკური სესხი ჰქონია – 120 000 ლარის და 118 000 ლარის ოდენობით.

სხვადასხვა დროს, საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებში, მამუკა მდინარაძეს ჯერ – 55 000 ლარი; ამის შემდეგ – 50 000 ლარი; 27 000 ლარი; 20 000 ლარი და კიდევ ერთხელ – 20 000 ლარი დაუხარჯავს.

საწვავის ლიმიტის გადაჭარბების ფაქტები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა და მათზე გაწეული ხარჯებით დაინტერესდა. აუდიტის დასკვნა, რომელიც უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მთავრობის აპარატისა და სამინისტროების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიღების, გამოყენებისა და მათზე გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტია და 2020-2021 წლებს მოიცავს. ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ამჯერად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა-გამოყენებასა და მათზე გაწეულ ხარჯებში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა

დარღვევები ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ 2020 წელს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატმა, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილისთვის პერსონალური სარგებლობის ავტომანქანის შეძენისას, შეიმუშავა პირველი და მეორე კლასის ავტომობილებზე მისადაგებული მინიმალური ტექნიკური მახასიათებლები მაღალი გამავლობის ტიპის ტრანსპორტისათვის, რომლის მიხედვითაც განხორციელდა შესყიდვა. არადა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული არ არის მოცემული თანამდებობისთვის გაპიროვნებული ავტომობილის კონკრეტული კლასი. ამასთან, ავტომობილის შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურები წერილობით შეთანხმებული იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან და საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან.

„შესყიდვის აუცილებლობასთან დაკავშირებით, მთავრობის აპარატის მიერ წარმოდგენილი იყო ორი გარემოება: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილისთვის გაპიროვნებული ავტომობილის ექსპლუატაცია, მისი წარმოების წლისა და ძრავის მოცულობის გათვალისწინებით, დაკავშირებული იყო დიდ ხარჯებთან, როგორც საწვავის მოხმარების, ისე – მიმდინარე რემონტის ხარჯების ჩათვლით. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის ხშირი მივლინებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მასზე გაპიროვნებულიყო მაღალი გამავლობის ავტომობილი. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით, 2020-2021 წლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ხშირი მივლინებები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში არ დასტურდება“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ხშირი მივლინებების გარემოების გათვალისწინებით, მაღალი გამავლობის ავტომობილის შეძენის გადაუდებელი აუცილებლობა არ დასტურდება! შესაბამისად, სათანადო ობიექტური საჭიროების დასაბუთების გარეშე, შეძენილია მაღალი გამავლობის ავტომობილი. არადა, ამავე კლასის მსუბუქი ავტომობილის შეძენის შემთხვევაში, დაახლოებით, 10 ათასამდე ლარი დაიზოგებოდა, რაც უზრუნველჰყოფდა საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად ხარჯვას.

დარღვევები ავტომობილების მოვლა-შენახვის ხარჯებში

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მიხედვით, მუხლი – „საქონელი და მომსახურება“ მოიცავს სახელმწიფო ერთეულების მიერ, საქონლისა და მომსახურების შესყიდვის ხარჯებს, რომლებიც გამოიყენება საბაზრო და არასაბაზრო ფასად, საქონლისა და მომსახურების გასაწევად. „სხვა მატერიალური მარაგების“ შეძენაზე გაწეული საკასო ხარჯი საქონლისა და მომსახურების შესყიდვად განიხილება და აღრიცხვაში „არაფინანსურ აქტივებში“ აისახება. სხვა მატერიალური მარაგების ფაქტობრივი გამოყენების შემთხვევაში, ისინი ფაქტობრივ ხარჯებში ჩამოიწერება და საქონლისა და მომსახურების გამოყენებად განიხილება.

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ შეძენილი ავტომანქანის რეცხვის ტალონები, ფაქტობრივად, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე, პირდაპირ იქნა ჩამოწერილი ხარჯებში:

„2020-2021 წლებში, უმაღლესი საბჭოს მიერ 7 842 ლარის ღირებულების ავტომანქანების რეცხვის – 605 ერთეული ტალონი; 2020 წელს, მთავრობის აპარატის მიერ 3 658 ლარის ღირებულების – 397 ერთეული ტალონი; 2020-2021 წლებში, დევნილთა სამინისტროს მიერ 1 561 ლარის ღირებულების – 138 ერთეული ტალონი“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ავტომანქანის რეცხვის ტალონების ფაქტობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე, პირდაპირ ხარჯებში თანხების ჩამოწერით, წარმოიშვა 13 061 ლარის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად გახარჯვის რისკი.

დარღვევები სათადარიგო ნაწილების შეძენა-რემონტში

2020 წელს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ავტომანქანებს დაზღვევის მომსახურებას უწევდა სადაზღვევო კომპანია „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ უმაღლესი საბჭოს აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა 2020 წლის აპრილში, დაზიანდა ავტოსადგომზე დგომის დროს, თუმცა აღნიშნული შემთხვევის შესახებ არ ეცნობა სადაზღვევო კომპანიას და საპატრულო პოლიციას. შესაბამისად, არ იქნა გამოყენებული დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და ავტომანქანა გარემონტდა უმაღლესი საბჭოს აპარატისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებით, ავტოპარკის მოვლა-პატრონობასა და ექსპლუატაციაზე 2020 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში და შესრულდა 1 700 ლარის ღირებულების სამუშაოები.

„უმაღლესი საბჭოს აპარატში არასათანადო და არაეფექტიანი კონტროლის მექანიზმების გამო, დაირღვა სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, ვერ იქნა გამოყენებული სადაზღვევო კომპანიის სერვისი ზიანის ასანაზღაურებლად და არამიზნობრივად გაიხარჯა 1 700 ლარის საბიუჯეტო სახსრები“.

გარდა ამისა, ავტოპარკის მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის ხარჯების ფარგლებში, სათადარიგო ნაწილების შეძენისა და სარემონტო სამუშაოების შესრულების მდგომარეობის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში, არსებობდა არასრულყოფილად შედგენილი დეფექტური აქტების, ასევე, მათ გარეშე ავტომანქანების სარემონტო სამუშაოების შესრულების ფაქტები, კერძოდ:

„დევნილთა სამინისტროს მიერ, ავტოპარკის მოვლა პატრონობასა და ექსპლუატაციაზე, 2020-2021 წლებში სულ გახარჯული 38 435.65 ლარიდან, ექვს შემთხვევაში – 6 493 ლარის ღირებულების სამუშაოები ჩატარებულია დეფექტური აქტების შედგენის გარეშე; ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, ავტოპარკის მოვლა-პატრონობასა და ექსპლუატაციაზე 2020-2021 წლებში გახარჯული 21 629.5 ლარიდან, რვა შემთხვევაში – 6 262 ლარის ღირებულების სამუშაოები ჩატარებულია დეფექტური აქტების შედგენის გარეშე“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს, 2019 წლის ნოემბერში, სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გადაეცა 2010 წელს გამოშვებული ავტომანქანა – „მერსედეს-ბენცი“ S 550.35, რომელშიც 65 000 ლარი დაჯდა. მთავრობის აპარატის მიერ 2020 წელს მთავრობის აპარატის ბალანსზე რიცხული ყველა ავტომანქანის რემონტზე გახარჯულ თანხებთან მიმართებით, აღნიშნული ავტომანქანის რემონტზე გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 49%.

„კერძოდ, 2020 წელს, სულ ავტომანქანების რემონტზე გახარჯული 29 920.81 ლარიდან, ავტომანქანა „მერსედეს-ბენც“ S 550-ის რემონტზე მოდის 14 659.02

დასასრული მე-8 გვერდზე

საწვავის ლიმიტის გადაჭარბების ფაქტები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში

მე-7 გვერდიდან

ლარი. ამავდროულად, 2021 წელს: ა) მთავრობის აპარატის ასიგნებებიდან გახარჯულია 5 166.25 ლარი; ბ) იუსტიციის მინისტრის აპარატის ასიგნებებიდან – 4 003 ლარი; გ) დევნილთა სამინისტროს ასიგნებებიდან – 2 659 ლარი. ჯამში, 2020-2021 წლებში, აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გახარჯულია 26 487.27 ლარი, რაც ავტომანქანის შეძენის ღირებულების 41%-ია".

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების მიუხედავად, სათანადო კონტროლის სისტემის არარსებობის გამო, ვერ იქნა უზრუნველყოფილი საბიუჯეტო სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება. გარდა ამისა, დადგენილი წესების მოთხოვნათა უგულებელყოფით, არ არის შემუშავებული და დანერგილი საწვავის მიღებისა და ხარჯვის კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები, რის გამოც არ ხორციელდება სათანადო კონტროლი საწვავის ჩასხმასა და მის გახარჯვაზე.

დარღვევები ექსპლუატაციის ხარჯებში

ამ ნაწილში, სახელმწიფო აუდიტორებმა სხვადასხვა სახის დარღვევები გამოავლინეს. კერძოდ, სამორიგეო ავტომობილებზე საწვავის ჩასხმის ფაქტები დასვენების/უქმე დღეებში. აუდიტორების მტკიცებით, სამსახურებრივ ავტომობილებზე ფიქსირდებოდა არასამუშაო დღეებში (შაბათ-კვირა) და არასამუშაო საათებში – საწვავის ჩასხმის 259 (8 955 ლიტრი) ისეთი ფაქტი, რაც ავტომობილების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალში არ იყო აღრიცხული, კერძოდ:

„უმაღლეს საბჭოში, 2020-2021 წლებში, გამოვლინდა არასამუშაო დღეებში – 64 (1 970 ლიტრი) და არასამუშაო საათებში – 41 შემთხვევა (1 222 ლიტრი), ჯამში – 105 შემთხვევა (3 192 ლიტრი); მთავრობის აპარატში 2020 წელს გამოვლინდა არასამუშაო დღეებში 8 შემთხვევა (258 ლიტრი) და არასამუშაო საათებში – 21 შემთხვევა (650 ლიტრი), ჯამში – 29 შემთხვევა (908 ლიტრი); დევნილთა სამინისტროში 2020-2021 წლებში გამოვლინდა არასამუშაო დღეებში – 19 (985 ლიტრი) და არასამუშაო საათებში – 73 შემთხვევა (2 515 ლიტრი), ჯამში – 92 შემთხვევა (3 500 ლიტრი); განათლების სამინისტროში 2021 წელს გამოვლინდა არასამუშაო საათებში 33 შემთხვევა (1 355 ლიტრი). ამ შემთხვევებში ვერ იდენტიფიცირდება სამსახურებრივი ავტომობილების მიზნობრიობით გამოყენების დანიშნულება, რაც ქმნის საბიუჯეტო რესურსების არადანიშნულებით და არაეფექტიანად გახარჯვის რისკებს".

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა სამინისტროს აპარატის ორ სამორიგეო ავტომობილზე სახელმწიფო აუდიტორებმა ვერ მოიპოვეს 2020 წლის მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი; სსიპ „დევნილთა მომსახურების სააგენტოში" 2021 წელს მის მფლობელობაში არსებულ სამორიგეო ავტომობილზე არ იყო განსაზღვრული ავტომობილის საწვავის ლიმიტი, არ წარმოებდა ავტომობილის მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი. შესაბამისად, არ არსებობდა კონტროლის არანაირი მექანიზმი, როგორც საწვავის ლიმიტების, ასევე, მისი მოძრაობის აღრიცხვის კუთხით.

„2021 წელს, არასამუშაო დღეებში, სამორიგეო ავტომობილებზე ფიქსირდება საწვავის ჩასხმის – 28, ხოლო არასამუშაო საათებში – 44 ფაქტი (ჯამში – 1 758 ლიტრი). შესაბამისად, იმის გამო, რომ არ მოიპოვება ავტომობილის მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება არასამუშაო დღეებში (შაბათ-კვირა) და არასამუშაო საათებში, სამსახურებრივი ავტომობილის მიზნობრივად გამოყენების თაობაზე; 2021 წელს, სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოში" არ იწარმოებოდა სამსახურებრივი ავტომობილის მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი. შესაბამისად, ვერ იქნა მოპოვებული არასამუშაო დღეებსა და არასამუშაო საათებში ავტომობილის სამსახურებრივი მიზნით გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. 2021 წელს, არასამუშაო დღეებში დაფიქსირდა – 30, ხოლო არასამუშაო საათებში – 47 ჩასხმის ფაქტი (ჯამში – 3 288 ლიტრი)".

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ავტომობილების მიზნობრივად გამოყენებისა და მათი სწორად ექსპლუატაციის შესწავლისას გამოვლენილი გარემოებები მიუთითებს სამორიგეო ავტომობილებზე კონტროლის გარემოს სისუსტეს, დანერგილი კონტროლის მექანიზმის (ავტომობილების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი) ფორმალურ ხასიათს, რის გამოც ვერ ხორციელდება სამორიგეო ავტომობილების არასამსახურებრივი მიზნით გამოყენების ფაქტების დაზღვევა და იქმნება საწვავის არამიზნობრივად გახარჯვის რისკები.

სამივლინებო ლოკაციებზე... მივლინების გარეშე?

დიახ, არ მოგესმათ. სამწუხაროდ, სახელმწიფო აუდიტორებმა მსგავსი დარღვევებიც კი გამოავლინეს, კერძოდ:

„აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს სამსახურებრივ ავტომობილებზე, 2020-2021 წლებში, ფიქსირდება ქალაქგარეთ (სამივლინებო ლოკაციებზე), მივლინების ბრძანების გარეშე საწვავის ჩასხმის 12 შემთხვევა (350 ლიტრი); დევნილთა სამინისტროს სამსახურებრივ და გაპიროვნებულავტომობილებზე 2020-2021 წლებში ფიქსირდება ქალაქგარეთ (სამივლინებო ლოკაციებზე), მივლინების ბრძანების გარეშე საწვავის ჩასხმის 19 შემთხვევა (609 ლიტრი); სსიპ „პროგრამების და სერვისების სააგენტოს" სამსახურებრივ ავტომობილზე 2021 წელს ფიქსირდება ქალაქგარეთ (სამივლინებო ლოკაციებზე), მივლინების ბრძანების გარეშე საწვავის ჩასხმის 5 შემთხვევა (232 ლიტრი)".

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, აუდიტის პროცესში ვერ იქნა მიიღეს შესაბამისი ფორმალური დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა სამივლინებო ლოკაციებზე მივლინებების გარეშე საწვავის ჩასხმისა და ავტომობილების სამსახურებრივი საჭიროებისათვის გამოყენების აუცილებლობას.

საწვავის ლიმიტის გადაჭარბების ფაქტები!

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სსიპ „სერვისებისა და პროგრამების სააგენტოს" 2021 წელს, ავტომობილისთვის გამოყოფილი საწვავის ლიმიტების განსაზღვრის ბრძანებით, ყოველთვიური ზღვრული მოცულობა შეადგენდა 400 ლიტრს. ავტომობილის ფაქტობრივი ჩასხმის შესწავლით და მივლინების დროს გაზრდილი საწვავის ლიმიტების გათვალისწინებით, ლიმიტის გადახარჯვამ შეადგინა 1 920 ლიტრი.

კერძოდ, სსიპ „სერვისების და პროგრამების სააგენტოს" კუთვნილ ავტომობილთან დაკავშირებით ფიქსირდება შემთხვევა, როდესაცსაწვავის ავზში ჩასხმულია 103 ლიტრი საწვავი, თუმცა საწვავის ავზის მაქსიმალური მოცულობა 75 ლიტრია. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტორებს ვერ წარუდგინეს შესაბამისი განმარტება ამ გარემოების გამომწვევი მიზეზების შესახებ, ხოლო ავტომანქანის მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალის არარსებობის გამო, ვერ იქნა იდენტიფიცირებული პირი, ვინც იმ მომენტისათვის სარგებლობდა შესაბამისი ავტომობილით.

„საწვავის ხარჯვის დადგენილი ლიმიტების შესახებ ბრძანება იყო ფორმალური დოკუმენტი და საოპერაციო საქმიანობისას არ იყო გათვალისწინებული მისი მოთხოვნები, რის გამოც არ კონტროლდებოდა ლიმიტების გადაჭარბების ფაქტები. საწვავის ავზის მოცულობაზე მეტი რაოდენობით ჩასხმის ფაქტი კი მიუთითებს საწვავის ჩიპის სხვა ავტომობილში შესაძლო გამოყენებაზე. ამით დასტურდება, რომ არ არსებობს კონტროლის მექანიზმები და იქმნება საწვავის არამიზნობრივად გახარჯვის რისკები".

სამართალი

№17 17 მაისი 2023 წ

რიტუალური მკვლელობა თბილისში – რატომ მოკლეს ადვოკატი

საბედისწერო ბიჟუტერია და შემთხვევის ადგილზე დატოვებული ბანქოს სამი „მეფე“

ბათო ჯაფარიძე

არცთუ იშვიათად, კრიმინალები ცდილობენ, შურისძიება ერთგვარ რიტუალად აქციონ, აქაოდა, შური ჩვენ ვიძიეთ და ვინც იურჩებს, იგივე ელოდებაო. რეალურად კი, სწორედ ამ რიტუალური მკვლელობების დროს ტოვებენ ყველაზე მეტ სამხილს და სამართალდამცავები სწორედ ამ სამხილებით გადიან მათ კვალზე.

ასეთი რიტუალური მკვლელობა 70-იანი წლების დასაწყისში, თბილისშიც მოხდა და თან როგორი მკვლელობა – დანით ყელი ერთ-ერთ ადვოკატს გამოჭრეს. მოკლულის სტატუსის გათვალისწინებით, საქმე პირად კონტროლზე ერთბაშად ორმა უწყებამ აიყვანა, მით უმეტეს, როგორც წესი, ადვოკატებზე შურისძიება კრიმინალების ხელწერა იყო ანუ ვიღაცას ვერ უშველა, ვიღაც ვერ დაიხსნა, სამაგიეროდ, ფული აიღო და მერე აღარ დააბრუნა. მკვლელობის დროს, სახლში იყო ადვოკატის მეუღლეც, გვარიანად ნაცემი და ბოლო ხმაზე კიოდა, არაფერი მახსოვსო. მას სიარულიც კი უჭირდა და სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარეს. ექიმების დასკვნა ერთგვაროვანი იყო – გაუპატიურებული გახლდათ და გაუპატიურებული საკმაოდ სასტიკად, უხეშად, სქესობრივი აქტის დროს, სცემდნენ და დანით ჩხვლეტდნენ. ქალი გამომძიებლების წინ მუხლებზე დაეცა, ოღონდ ეს ამბავი არ გაახმაუროთ, საშვილიშვილოდ თავი მომეჭრება, ქმრის მკვლელობა მაკმარეთ თავში საცემადო. არადა, როგორც მამაკაცი, ისე ქალი, 50 წელს გადაცილებულები იყვნენ და აშკარა გახლდათ, ეს შურისძიება იყო, თორემ 60 წელს მიტანებული ქალის გაუპატიურებას, თუნდაც დროის უქონლობის გამო, არავინ დაიწყებდა.

როცა დაზარალებული დაწყნარდა და ცოტა დალაგებულად საუბარი შეძლო, განაცხადა, რომ საღამოს კარზე დააკაკუნეს, კარი გააღო და ზღურბლზე ახალგაზრდა გოგონა დაინახა, რომელმაც შესვლის ნებართვა ითხოვა. ქალმა კარი ფართოდ გამოაღო და მოულოდნელად, კარში მამაკაცის სხეული აღიმართა. კაცმა ყბაში იმდენად ძლიერად დაარტყა, რომ ქალმა მაშინვე გრძნობა დაკარგა. აზრზე მაშინ მოვიდა, როცა სხეულზე ჩხვლეტა იგრძნო. ის მამაკაცი აუპატიურებდა და თან ფერდში დანის წვეტს არჭობდა. ქალმა სიმწრით დაიკივლა, თუმცა თავში მუშტის მაგივრად, ამჯერად დანის ტარი მოხვდა და ისევ გაითიშა. აზრზე მოსულმა კი დანით აჩეხილი ქმარი დაინახა და მილიციაში დარეკა. ჰო, ექსპერტის დასკვნით, ჯერ ქალი გააუპატიურეს და ქმარს აყურებინეს, შემდეგ კი ადვოკატი მოკლეს, რადგან ქალის სხეულზე მამაკაცის სისხლი არ იყო, გარდაცვლილის ჭრილობაში კი ქალის სისხლის ნაწილაკები იპოვეს. შემთხვევის ადგილზე ძალოვნებმა სამი ცალი ბანქო ნახეს და სამივე „მეფე“!

ახლა გამომძიებლებს იმაზე უნდა ემტვრიათ თავი, ვინ იყო „მეფე“, რას ნიშნავდა ყველაფერი ეს, კრიმინალურ სამყაროში და ზოგადად, რატომ მაინცდამაინც „მეფე“ და არა „ტუზები“, ან „ვალეტები“? სტაჟიანი კრიმინალები გამოიკითხნენ და მათ მხრები აიჩეჩეს, სვირინგად „მეფე“ გაგვიგია, მაგრამ მკვლელობის დროს დაყრილი „მეფეების“ შესახებ, ვერაფერს გეტყვითო. საგულისხმო იყო ისიც, რომ სახლიდან უბრალო ბიჟუტერია წაიღეს და ეს მაშინ, როცა ქალს ოქროს საყურეები არ შეხსნეს.

„წლებია, ეს ბიჟუტერია გვაქვს. ქმარი სათუთად უფრთხილდებოდა, ამბობდა, ამათი არც გადაყრა შეიძლება, არც გაყიდვაო და სულ მეცინებოდა ხოლმე, როგორ უნდა გაგვეყიდა იმის მიუხედავად, რომ ბიჟუტერია ნამდვილ ოქროულს ჰგავდა, რადგან ნებისმიერი იუველირი ზუსტად 30 წამში იტყოდა, რომ ყველაფერი ეს, 50 მანეთიც არ ღირდა. აი, ის კი მიკვირდა, რომ არცერთი ნივთის გაკეთების შესაძლებლობას არ მაძლევდა“, – გაიხსენა ქალმა.

50 მანეთის ბიჟუტერიის გამო, ასეთი სასტიკი მკვლელობა წარმოუდგენელი გახლდათ. გადაქექეს ადვოკატის ბოლოდროინდელი საქმეები, მოიძიეს არქივი, ხომ არ გამოვიდა უახლოეს წარსულში ვინმე ციხიდან, ვისაც შეეძლო ადვოკატზე შური ეძია, მაგრამ ვერავინ იპოვეს. სასტიკი მკვლელობა გაუხსნელი დარჩებოდა, მაგრამ მოულოდნელად, მილიციის განყოფილებაში ვეტერანი თანამშრომელი, პენსიონერი, 80 წელს მიტანებული მაიორი მივიდა და გამომძიებელთან შეხვედრა ითხოვა.

„ჩემთან რჩევისთვის ბევრი ძალოვანი მოდის, ზოგს რა აინტერესებს, ზოგს – რა. რითაც შემიძლია, ვეხმარები და ახლა, ერთ-ერთმა მიამბო, რომ მკვლელობა მოხდა და ადგილზე ბანქოს სამი ქაღალდი, სამი „მეფე“ იპოვეს. ამიტომ მოვედი, თავის დროზე, დაახლოებით, 25 წლის წინ, დავაკავე ბანდა, რომლის წევრებიც ამ დაჯგუფებას „სამ მეფეს“ ეძახდა. მართალია, საქმეზე ბანქოს არ ტოვებდა, მაგრამ „სამი მეფის“ შესახებ ყველამ იცოდა. ისეთი მოუხელთებლები იყვნენ, ორწლიანი დევნის შემდეგ, მათ რიგებში აგენტის ჩასმა გადავწყვიტე, მაგრამ ეს აგენტიც მათ კვალზე, ლამის ორწლიანი წვალების შემდეგ გავიდა. „სამი მეფე“, ძირითადად, ბინების ძარცვით იყო დაკავებული და ჩემმა აგენტმა ორი ბინა გაასუფთავებინა. ხელი არ მოვკიდეთ, რადგან რეალურად არ ვიცოდით, რას და როგორ აპირებდნენ, ჩემს აგენტს არ ენდობოდნენ და სულ თან დაჰყვებოდნენ, ის კი ინფორმაციას ვერ გვაძლევდა. მერე კი, ნდობა გამოუცხადეს და მესამე ბინიდან რომ გამოვიდნენ, ავიყვანეთ. რეალურად, ეს მესამე ბინა ცარიელი იყო და ეჭვი რომ არ შეეტანათ, ბლომად ბიჟუტერია დავმალეთ, იმ სიბნელესა და სისწრაფეში, ბიჟუტერიასა და ნამდვილ ნაკეთობას ვინ დაუწყებდა ყურებას. ჰოდა, ავიყვანეთ, მაგრამ ერთი სასაცილო რამ კი მოხდა – ალბათ, რომელიმე ოპერს სულმა წასძლია და ის ბიჟუტერია გაქრა, ვიღაცამ მოიპარა და მოიპარა იმ იმედით, რომ ნამდვილი ოქრო ეგონა“, – დაასრულა მოყოლა მოხუცმა.

გამომძიებელმა ყურადღებით მოუსმინა, შემდეგ კი გარდაცვლილის სახელი და გვარი უთხრა და ჰკითხა, შემთხვევით, ხომ არ გეცნობაო. მოხუცმა თავი დაიქნია, ის სწორედ ჩანერგილი ოპერმუშაკი იყო, მერე მილიციიდან წავიდა, მგონი, ბოლოს ადვოკატად მუშაობდაო და როცა უთხრეს, რომ მოკლული სწორედ ის იყო, შუბლზე ხელი იტკიცა – ბიჟუტერიას ეგ მოიპარავდა და იმ ბანდის რომელიმე წევრმა იმსხვერპლა, ალბათო.

გადამოწმების შემდეგ გაირკვა, რომ ბანდა „სამი მეფე“ იმ მარტივი მიზეზით აღარ არსებობდა, რომ მისი სამივე წევრი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო. მათ არც შვილები დარჩენიათ, მაგრამ ფაქტია – ვიღაცამ საკმარისზე მეტი იცოდა, ბანდაც „ისისხლა“ და ბიჟუტერიაც წაიღო.

გამოძიებამ ყველაფერი გადააბრუნა და დაადგინა, რომ ბანდის გარდაცვლილი წევრებიდან ყველაზე გვიან, ტუბერკულოზით, ბანდის მეთაური მოკვდა. მას ბოლოს ერთ-ერთი პატიმარი უვლიდა, რომელმაც 12-წლიანი სასჯელი მოიხადა და ციხიდან მკვლელობამდე სამი თვით ადრე გათავისუფლდა. მისი გარემოცვის შესწავლის დროს გაირკვა, რომ მას და ჰყავდა და სხვა წასასვლელი რეალურად არსად ჰქონდა. გამოძიებამ დის სურათი მოიპოვა და დაზარალებულს აჩვენა. მან სურათში ის გოგო ამოიცნო, რომელმაც კარი გააღებინა, მამაკაცის სახე კი არც დაუნახავს, ამიტომ ვერაფერი თქვა. აყვანის ოპერაცია მარტივად დაიგეგმა და მარტივადაც ჩატარდა – ეჭვმიტანილი რომ დააკავეს, გაოცებისგან პირს ვერ კეტავდა, არ ეგონა, თუ ასე მალე მიაგნებდნენ. შემდეგ კი დაიწყო...

„როცა ჩემი მეგობარი კვდებოდა, მომიყვა, როგორ გაიტანეს „ბაითი“ და როგორ დაიჭირეს. ისიც მითხრა, ვინ ჩაუშვა, ვინ გაიმეტა და ისიც, რომ მან მოპარული ოქროული მიითვისა, შემდეგ კი ადვოკატობა დაიწყო. სახელი და გვარი მხოლოდ მას შემდეგ დამისახელა, რაც ქურდული სიტყვა მივეცი, რომ მას მოვკლავდი, მანამდე ცოლს გავაუპატიურებდი და ვაყურებინებდი. ამის ჯილდო კი ის ოქროული იქნებოდა, რომელიც მისი თქმით, 30 ათას მანეთზე ნაკლები არ ღირდა. მე ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ ოქროულის ნაცვლად, ხელში ბიჟუტერია შემრჩა. ერთადერთ რამეს გთხოვთ, ჩემი და არ გაიმეტოთ, მე ვაიძულე საქმეზე გამყოლოდა და არც იცოდა, რას ვაპირებდი. პრინციპში, მან არც ახლა იცის არაფერი, როგორც კი ქალი გავთიშე, ის ბინიდან გაიქცა“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯა, მაგრამ განაჩენის სისრულეში მოყვანა ვერ მოხერხდა – სიკვდილმისჯილი საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს და ვინაიდან მარტო იჯდა, თვითმკვლელობად გააფორმეს.

რაც შეეხება დას, ისიც მთელი სიმკაცრით დაისაჯა და მკვლელობაში თანამონაწილეობა დაუმტკიცდა. მას სასამართლომ 12-წლიანი სასჯელი მიუსაჯა.

ბიჟუტერია, რის გამოც დანაშაული მოხდა, დაკავებულის სახლში იპოვეს და საქმეს ნივთმტკიცებად დაურთეს. დამოუკიდებელმა ექსპერტიზამ ნივთები 150 მანეთად შეაფასა.

ბათო ჯაფარიძე

შეურაცხადი ექიმი

გაუხმაურებელი ტერორისტული აქტების ანატომია

საბჭოთა კავშირს რკინის ფარდა არა მარტო დასავლეთისთვის ჰქონდა ჩამოფარებული, არამედ, ყველა რესპუბლიკისთვის და ამიტომ, თუ რამე მასშტაბური უბედურება ხდებოდა, სხვა რესპუბლიკების მცხოვრებლები ვერ იგებდნენ. ყველაზე ცნობილი მაინც ჩერნობილის ატომური სადგურის აფეთქება იყო, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ დამალა, შეფუთა და ამ დამალვას უამრავი ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა, თუმცა ჩერნობილამდე იყო არაერთი ისეთი რამ, რაც დღევანდელ პირობებში, მსოფლიოს წამებში ეცოდინებოდა, მაგრამ მაშინ ისე დამალეს, რომ ბევრმა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიტყო. ახლა სწორედ ერთ-ერთ მათგანზე გიამბობთ, ტერორისტულ აქტზე, რომელიც კრასნოდარში მოხდა და რომელსაც თავისი გმირები და ანტიგმირები ჰყავდა.

ყველაფერი 1971 წლის 14 ივლისს დაიწყო. თბილი დილა იდგა და მოქალაქეები სამსახურებში მიიჩქაროდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში უნდა შეტეულიყვნენ, რადგან მაშინ იმდენად ცოტა ავტომობილი იყო, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისეთი რანგის ჩინოვნიკები სარგებლობდნენ, ახლა რომ ავტობუსში არაფრის დიდებით ავლენ. 08.30 საათზე, „ვაზის“ მარკის ავტობუსი ჩვეულებისამებრ, გაჩერებაზე გაჩერდა, მასში ვინც შეეტია, როგორც იქნა, შევიდა და გაჭედილი ტრანსპორტი ქუჩას მძიმედ გაუყვა. დარჩენილებმა შურით გააყოლეს თვალი, მაგრამ რა იცოდნენ, რომ მათ ძალიან, ძალიან გაუმართლათ. ავტობუსი გაჩერებებზე აღარ ჩერდებოდა, ფიზიკურად ადგილი არ ჰქონდა, თუმცა ორიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ, ჩოჩქოლი ატყდა, რამდენიმე მგზავრი მძღოლს უყვიროდა, მოქალაქეს ჩასვლა უნდა, სასწრაფოდ გააჩერეო. მანაც პირდაპირ შუა გზაზე დაამუხრუჭა, დაბალი ტანის კაცი უკანა კარიდან ჩახტა და გზა ჩქარი ნაბიჯით გადაჭრა. ავტობუსი ისევ დაიძრა და ზუსტად ერთ წუთში აფეთქების ხმა გაისმა. აფეთქების წნევამ ლამის ყველას გონება დააკარგვინა, მათ შორის, მძღოლსაც, მაგრამ პირველად აზრზე, სწორედ მძღოლი მოვიდა, ავტობუსიდან ჩავიდა და გაქვავებული კარი ძლივს გახსნა. მან ორივე ხელი დაინვა კარის გახსნის დროს და როგორც კი კარი გაიღო, გრძნობა დაკარგა. ადგილზე ხუთი ადამიანი გარდაიცვალა, აფეთქების ტერიტორიაზე ყველა მაღალჩინოსანი გამოცხადდა. პირველადი ვერსიით დაასკვნეს, რომ აფეთქება ავზის გაუმართაობამ გამოწვია, მაგრამ ექსპერტებმა მალე იპოვეს მაღვიძარას ნაწილები, რაც იმას ნიშნავდა, რომ აფეთქდა ბომბი, რომელიც საათის მექანიზმის მსგავსად იმართებოდა. იქვე ეყარა ფოლადის ნამსხვრევები, რომლებიც თითქოს სპეციალურად იყო დაჭრილი და წამახვილებული, რათა მოქალაქეებისთვის რაც შეიძლება დიდი ზიანი მიეყენებინა. საქმე პირად კონტროლზე ოფიციალურად პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აიყვანა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერს სრულად „კა გე ბე“ აკონტროლებდა. იმის მიუხედავად, რომ ჩინოვნიკები ბევრს ეცადნენ, მომხდარი ქალაქში მაინც გახმაურდა. ან როგორ არ უნდა გახმაურებულიყო, როცა ადგილზე გარდაცვლილი ხუთი ადამიანის გარდა, ხუთი საავადმყოფოში გარდაიცვალა, სხეულის დამწვრობა ჰქონდა აბსოლუტურად ყველას, ვინც ავტობუსში იმყოფებოდა და ისინი ადგილობრივები იყვნენ ანუ ათეულობით ოჯახი დაზარალდა და, რა თქმა უნდა, ქალაქის მცხოვრებლებმა ყველაფერი გაიგეს.

მერე, როგორც ხდება ხოლმე, ვიღაცამ თქვა, აფეთქებებს გაგრძელება მოჰყვებაო და ხალხი საზოგადოებრივ ტრანსპორტში აღარ ადიოდა, დიდ, საკოლმეურნეო ბაზარში აღარ შედიოდა. მოკლედ, მოსახლეობა პანიკამ მოიცვა და ძალოვნებს დამნაშავე სასწრაფოდ უნდა დაეკავებინათ.

ექსპერტიზის დასკვნით, ასაფეთქებელი მოწყობილობა ავტომობილის ცეცხლმაქრში იყო ჩამონტაჟებული და ის უკანა სავარძელზე დატოვეს ანუ საწვავის ავზთან ახლოს, რადგან აფეთქებას მეტი ეფექტი და სიმძლავრე ჰქონოდა. ამ გათვლამ გაამართლა, მგზავრებმა მაქსიმალური დაზიანება მიიღეს. სამაგიეროდ, გადარჩენილებმა გაიხსენეს, როგორ ჩახტა დაბალი ადამიანი აფეთქებამდე ერთი წუთით ადრე ავტობუსიდან და ვერავინ გაიხსენა მისი სახე, რადგან კეპი ეფარა, თავი კი ისე ჰქონდა დახრილი, სახე არ უჩანდა. დაბალი ადამიანის ძიება, ერთი შეხედვით, მარტივი არ იყო, მაგრამ უშიშროებამ ყველა ბერკეტი ჩართო. პირველ რიგში, გაარკვიეს ავტობუსში გარდაცვლილთა ვინაობა ანუ იხილავდნენ ვერსიას, ხომ არ იყო კონკრეტულად ვინმე სამიზნე და აღმოაჩინეს, რომ გარდაცვლილებს შორის იყო უშიშროების კაპიტნის ცოლი (რომელიც ისე დაიწვა, რომ ქმარმა მხოლოდ ბეჭდით ამოიცნო) და მთავარი – ავტობუსში იმყოფებოდა კრასნოდარის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი, ნიკოლაი სტიოპინი, რომელიც გარდაიცვალა და მას ძალიან, ძალიან ბევრი მტერი ჰყავდა, რადგან კრიმინალების ნამდვილი რისხვა იყო.

იყო კიდევ ერთი ვერსია – ვიღაც გააგდეს სამსახურიდან და მან ასე გადაწყვიტა, ავტოპარკის ხელმძღვანელობაზე შური ეძია.

ტერორისტული აქტი საბჭოთა მაძებრებისთვის უცხო იყო. 1969 წელს, საიდუმლო დოკუმენტაციით, ტერორისტულ აქტად მოინათლა ვიქტორ ილინის მიერ განხორციელებული გასროლა ლეონიდ ბრეჟნევის ესკორტის მიმართულებით. მერე გაირკვა, რომ ბრეჟნევი მანქანაში არ იჯდა, მაგრამ ვიქტორ ილინმა (მსროლელმა) ეს არ იცოდა და დამიზნებით ესროდა. მან ბრეჟნევის მძღოლი მოკლა... და აგერ, ორი წლის შემდეგ, კვლავ ტერორისტული აქტი. გამოძიებამ დაიწყო არა მარტო მათი შემოწმება, რომლებიც სამძებროს უფროსს ერჩოდნენ, შეისწავლეს უშიშროების კაპიტნის საქმე, შეამოწმეს ყველა გათავისუფლებული მძღოლი და რაც მთავარია, შეამოწმეს ყველა, რომლებიც ბოლო 10 წელიწადში, ჯარში მსახურობდნენ და საქმე ასაფეთქებლების დამზადებასთან ჰქონდათ. ეს უზარმაზარი სამუშაო უშიშროებამ ათ დღეში ჩაატარა და ხელმოსაჭიდი ვერაფერი იპოვა. პარალელურად, სრული დატვირთვით მუშაობდა აგენტურული ქსელი და როცა მისგანაც ინფორმაცია არ შემოვიდა, ერთ-ერთი გამომძიებლის ვერსიას ჩაებღაუჭნენ – ეგებ, დამნაშავე ფსიქიკურად დაავადებულია?! ცოტა, რთული აღსაქმელი იყო, რომ ვინც ბომბი დაამზადა, მერე ავტობუსში აიტანა, მერე მომართა, უკან ჩამოვიდა, ფსიქიკურად დაავადებული ყოფილიყო, მაგრამ სხვა ვერსია აღარ დარჩა. შეამოწმეს ყველა და გამოცდილმა მაძებრებმა არა მხოლოდ აღრიცხვაზე მყოფი ადამიანები გადაამოწმეს, არამედ, გამოკითხეს კორპუსების მცხოვრებლები, რომლებიც რომელიმე მეზობელზე იტყოდნენ, უცნაურია, რაღაცნაირად იქცევა, კარჩაკეტილია... თუმცა, კვლავ არაფერი, ხელჩასაჭიდი უშიშროებას, უბრალოდ, არ ჰქონდა.

ის იყო, ამ ვერსიაზე ხელი უნდა ჩაექნიათ, რომ ერთმა ახალბედა თანამშრომელმა აგენტის ინფორმაცია მოიტანა – მისი მეზობელი ფანჯარაზე თოკებით ალუმინის თეფშებს ამაგრებდა და ამბობდა, ქურდი თუ დააპირებს შემოძრომას, ალუმინის თეფშებს გამოედება, ისინი წკრიალს დაიწყებენ და გამეღვიძებაო. ამაზე ყველამ ბევრი იცინა, მით უმეტეს, ეს კაცი მეოთხე სართულზე ცხოვრობდა, მაგრამ ოპერმუშაკს გადამოწმება მაინც დაავალეს. ორ საათში დაცინვის ობიექტი კაბინეტში ამაყად შევიდა და დამარცვლით თქვა – ის უცნაური კაცი დაბალია და რაც მთავარია, ერთ-ერთი მეზობლის თქმით, მანქანის ცეცხლმაქრის ბალონებს ავტოსახელოსნოებში ეძებს ხოლმეო. ეჭვმიტანილზე 24-საათანი თვალთვალი დააწესეს და თან მისი ბიოგრაფიის შესწავლა დაიწყეს. რაც ყველაზე საინტერესოა, პეტრე ვოლინსკის (ასე ერქვა ეჭვმიტანილს) 40 თანამშრომელი უთვალთვალებდა, ქალები, კაცები... ისე, რომ მას ეჭვი არ უნდა აეღო და ამიტომ, ეს ხალხი მუდმივად იცვლებოდა. რაც შეეხება ბიოგრაფიას...

ის ექიმად მუშაობდა და, ცოტა არ იყოს, უცნაური ქცევები ახასიათებდა. მაგალითად, ერთ-ერთ პაციენტს, რომელიც მასთან თავის ტკივილის ჩივილებით მივიდა, ხელზე სპირტი დაასხა და ცეცხლი წაუკიდა, თავის ტკივილი გაგივლისო, ერთ მამაკაცს, რომელიც მუცლის არეში უჩიოდა ტკივილს, ნემსის გაკეთება ყურის ძირში დაუპირა... უკმაყოფილო პაციენტებმა უჩივლეს და ის კრასნოდარში ცნობილ ფსიქიატრს, ნიკოლაი ხრომოვს გაასინჯეს. მისი დასკვნა ერთგვაროვანი იყო – ვოლინსკი ფსიქიკურად იყო დაავადებული. მას ექიმის დიპლომი გაუუქმეს, თუმცა კოლეგიალობა გამოიჩინეს და აღრიცხვაზე არ აიყვანეს, რადგან ასეთ შემთხვევაში, მას სამსახურის მოძებნა გაუჭირდებოდა. სამედიცინო სფეროდან წასვლის შემდეგ, ის მშენებლობაზე მუშად მუშაობდა. უშიშროების წარმომადგენლებმა დაკითხეს ხრომოვი, რომელმაც თქვა, რომ ვოლინსკის დიაგნოზის შემდეგ, რამდენიმე თვეში, მისი მეუღლე შინ დაბრუნდა და კარზე უცნაური კონსტრუქცია ნახა ავტომობილის ცეცხლმაქრითა და რაღაც დეტალებით აწყობილი. მეუღლემ მილიცია გამოიძახა, მილიციამ – გამნაღმველები და მათ ხელნაკეთი ბომბი გააუვნებელჰყვეს, თუმცა... ხრომოვს სთხოვეს, გაუხსნელი საქმეა, ეგებ, როგორც ცრუ შეტყობინება, ისე გავატაროთო და ისიც დათანხმდა. ეჭვი აღარ იყო, ბომბების დამამზადებელი ვოლინსკი გალხდათ და მისი ბინის არაოფიციალური ჩხრეკა გადაწყდა. როცა ის შინ არ იმყოფებოდა, სამართალდამცავებმა ბინაში შეაღწიეს და დენთთან ერთად, 13 ცალი ავტომობილის ცეცხლმაქრი ნახეს, 3 ბომბი აწყობილი იყო და როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში, ვოლინსკი მორიგ აფეთქებას გეგმავდა. ის მაინც არ დააკავეს, უბრალოდ, თვალთვალი გააძლიერეს.

ორ დღეში, ვოლინსკი შინიდან მცირე ჩემოდნით გამოვიდა და გეზი ვაგზლისკენ აიღო. მას სამართალდამცავები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ და დაკავების ოპერაციაც დაიწყო – ის ერთდროულად ათმა ოპერმა დააკავა, ნაწილმა ჩემოდნიანი ხელი გაუკავა, ნაწილმა მეორე ხელი ამოუგრიხა, მოკლედ, მას განძრევის საშუალება არ მისცეს. ჩემოდანში ასაფეთქებლად გამზადებული ბომბი იდო...

„მე 160 სანტიმეტრი ვარ. ჩემი სიდაბლის გამო გამომაგდეს სამსახურიდან, ამის გამო არავინ გამომყვა ცოლად. ლიგაც კი შევქმენი დაბალი ადამიანების, ორი წევრი მყავდა, მაგრამ როცა აფეთქებაზე დავიწყე საუბარი, მათ შეეშინდათ და მარტო დამტოვეს. მე კი არაფრის მეშინია, მე მაღლებს წირვა უნდა გამოვუყვანო“, – სრული სერიოზულობით ამბობდა ვოლინსკი.

მან ასაფეთქებლის აწყობა ნაგავსაყრელზე ნაპოვნი წიგნიდან (?!) ისწავლა. მაშინ დენთის ყიდვა მხოლოდ მონადირეთა მაღაზიაში შეიძლებოდა, მას კი მონადირის ბილეთი არ ჰქონდა, ამიტომ ის მაღაზიაში შედიოდა, ვინმე ახლადშესულს თოფებზე უწყებდა საუბარს, შემდეგ ეუბნებოდა, რომ კარგი სანადირო ადგილები იცოდა, ბოლოს კი დენთის ყიდვას რომ დააპირებდა, „აღმოაჩენდა“, რომ მონადირის ბილეთი შინ დარჩენოდა. ჰოდა, ახალი ნაცნობი საკუთარ ბილეთს ატარებდა რეგისტრაციაში და დენთი ვოლინსკს მიჰქონდა. გაირკვა ისიც, რომ მას კრასნოდარში, ლეგენდარული კონოთეატრის – „ავრორას“ აფეთქება უნდოდა, მაგრამ ჩემოდნით არ შეუშვეს, ასე უთხრეს, ბარგი შემნახველ კარადაში დატოვეო, რაც იმას ნიშნავდა, რომ არავინ დაშავდებოდა.

სასამართლომ ვოლინსკი შეურაცხადად სცნო და იძლებითი მკურნალობა მიუსაჯა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ფსიქიატრიულიდან ვერასდროს გამოვიდოდა, ამიტომ, პეტრე ვოლინსკის არსებობა დაივიწყეს კიდეც, თუმცა... 16 წლის შემდეგ, ის კრასნოდარში კვლავ გამოჩნდა, ამბობდა, განვიკურნე და გამომიშვესო. ამან გარდაცვლილების ახლობლები შოკში ჩააგდო, შოკში იყო მთელი ქალაქი. გამოჩენიდან ათ დღეში, ის, უბრალოდ, გაქრა და მას შემდეგ აღარავის უნახავს. ამბობენ, ერთ-ერთი გარდაცვლილის შვილმა ანგარიში წლების მერე გაუსწორაო.

ეს ამბავი საბჭოთა რესპუბლიკებიდან თითქმის ვერავინ გაიგო, მაგრამ ერთ წელიწადში, ვლადიმერ ჟვანიამ თბილისში სამი აფეთქება მოახდინა; 1973 წელს, გატაცებული თვითმფრინავი ჩამოაგდო საბჭოთა ხელისუფლებამ; იმავე წელს, მავზოლეუმში, თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა; 1977 წელს, მოსკოვში მეტროს აფეთქებები იყო... ასე, ნელ-ნელა, საბჭოთა ხალხში სიტყვა ტერორისტი და ტერორისტული აქტი გაჩნდა...

ბათო ჯაფარიძე

9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა, რომელსაც საბჭოთა კავშირის დროს, დიდი პომპეზურობით აღნიშნავდნენ და ყველა რესპუბლიკაში ხალხმრავალი აღლუმებიც იმართებოდა. ჩვენი ბებია-პაპები, მედლებით მკერდდამშვენებულნი დადიოდნენ ქუჩებში და ამაყად იღერებდნენ ყელს, რადგან ისინი არა მარტო იმ დროის გმირები იყვნენ. ყველაზე მეტი მსხვერპლი სამამულო ომში საქართველომ გაიღო და თუნდაც 9 მაისს, ვაკის პარკში, 97 წლის ვეტერანის მიერ ნათქვამი რად ღირს – ჩვენს სოფელში 80 ოჯახი ცხოვრობდა, ომში 74 კაცი თუ ქალი გაიწვიეს და ნახევარი არ დაბრუნდა, დაბრუნებულებიდან კი ცოცხალი მხოლოდ მე ვარო... ალბათ, ისიც სიმბოლურია, რომ როცა რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართეს, ორი ჯარისკაციდან ერთი ქართველი, მელიტონ ქანთარია იყო.

„აქ შენს მოსაკლავად ვარ ჩამოსული და მოგკლავ კიდეც“...

როგორ გახდა მოსკოველი ბიჭი საბჭოთა კავშირის გმირი – ფრონტული ამბავი, რომელიც საქართველოსაც უკავშირდება

ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, ერთ ახალგაზრდა ბიჭზეა, რომელიც მოსკოვში დაიბადა, ბედის ირონიით, მამამისი ციმბირში გადაასახლეს, იქ გაიზარდა და ცოტა ხანს საქართველოშიც იცხოვრა, მერე კი... მერე ისევ ციმბირში დაბრუნდა.

ტამერლან ტუკაევი ომში მას შემდეგ გაიწვიეს, რაც კრემლში სნაიპერთა რიცხოვნობის გაზრდაზე მიიღეს გადაწყვეტილება. აქცენტი სწორედ ციმბირში მცხოვრებლებზე გააკეთეს, რადგან ისინი კარგი მსროლელები იყვნენ და ეს გასაკვირი არც იყო. მაგალითისთვის გეტყვით, ციყვის ტყავი რომ არ დააზიანონ და მას საბაზრო ღირებულება ჰქონდეს, დღემდე ციმბირელი მონადირეები ციყვს თვალში უმიზნებენ. როცა შერჩევა დაიწყო, ტუკაევი არასრულწლოვანი იყო, უფრო ზუსტად, მაშინ ომში 17 წლისა და 8 თვის ახალგაზრდები მიჰყავდათ და იმ რვა თვემდე ტოკაევს რამდენიმე დღე უკლდა. თავიდან მიზანში არ ასროლინეს, პატარაა, მაგრამ შემდეგ თავად აიღო იარაღი და სამიზნეს თითქმის მაშინვე ესროლა ანუ საგულდაგულოდ არ დაუმიზნა და მოარტყა. შემდეგ სამიზნე შორს გაუწიეს, მერე – უფრო შორს და როცა 600 მეტრში ოპტიკური სათვალის გარეშე მოარტყა მიზანს, მოსკოვში წაიყვანეს, სავალდებულო კურსები გაატარეს და ფრონტზე გადაისროლეს.

ტუკაევი გერმანელი ოფიცრებისთვის ნამდვილ კოშმარად იქცა. მას, მკაცრ პირობებში გაზრდილს, მარტივად შეეძლო საფარში 3-4 დღე საჭმლის გარეშე გაეძლო, 48 საათი არ დაეძინა და მხოლოდ ოფიცრებს კლავდა, ჯარისკაცები მისთვის საინტერესონი არ იყვნენ. რაც მთავარია, არასდროს იტყუებოდა და როცა ამბობდა, რომ ოფიცერი მოკლა, უჯერებდნენ და შემდეგ დაზვერვაც ადასტურებდა. ერთ დღეს, სანგარში დაბრუნებულმა ტუკაევმა მეთაურს უთხრა, ოფიცერი მოვკალი, მაგრამ ასეთი ქუდი და ვარსკვლავები არასდროს მინახავს, არ ვიცი, რა ჩინი ჰქონდა და რას წარმოადგენდაო. იმავე საღამოს, ერთი გერმანელი ჯარისკაცი ტყვედ აიყვანეს და სწორედ მან განაცხადა, ტუკაევმა პოლკოვნიკი ბერგი მოკლა, ის პირადად ჰიტლერის მიერ იყო გამოგზავნილი, ფრონტის ამ მონაკვეთზე, არსებული სიტუაცია რომ შეესწავლა და შეეფასებინა, ახლა ჩვენს ნაწილში ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებს, ბატალიონის მეთაური ვაისი ცოფებს ყრის და ტრიბუნალის ეშინია, ფიურერის ემისარს რომ ვერ მოუფრთხილდაო.

მალე ისიც გაირკვა, რომ ტუკაევის მოსაკლავად გერმანიიდან, თვით დიტრიხ ზაუგენი გამოუშვეს, ლუფტვაფეს (გერანიის სამხედრო-საჰაერო ძალები) საუკეთესო მსროლელი. იმის გათვალისწინებით, რომ ლუფტვაფეს ჰერმან გერინგი მეთაურობდა, ხოლო მისი რიცხოვნობა 20 ათასს შეადგენდა, ზაუგენის საუკეთესოობა მრავლისმეტყველი გახლდათ. მის ჩამოსვლას გერმანელი ჯარისკაცები დიდი სიხარულით შეხვდნენ, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ის ტუკაევს მოკლავდა და მათი კოშმარი დასრულდებოდა.

ტუკაევი საქმეზე ხშირად დამხმარესთან ერთად დადიოდა, ის გარემოს ზვერავდა და თუ სადმე მოძრაობას შეამჩნევდა, ატყობინებდა. ასე იყო ამჯერადაც, ტოკაევი სწორედ დამხმარესთან ერთად გავიდა მორიგი მსხვერპლის საძიებლად და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ზაუგენი ელოდა. დიტრიხმა სნაიპერი ვერ შენიშნა, სამაგიეროდ, მისი დამხმარე დაინახა და ფეხში დაჭრა. დაჭრილი ტკივილისგან იკლაკნებოდა, ვერც უსაფრთხო ადგილზე გადადიოდა და ცოტა რომ დამშვიდდა, ხელებით ფორთხვა დააპირა, თუმცა ზაუგენის ტყვიამ ამჯერად ხელში უწია. ტუკაევი ხედავდა, როგორ კვდებოდა წამებით მისი მეგობარი, მაგრამ ზუსტად იცოდა – დახმარების შემთხვევაში, ისიც სასიკვდილოდ იყო განწირული. საიდანღაც ახალგაზრდა მედდა გამოჩნდა, დაჭრილთან მივიდა, ჭრილობის გადახვევა დაუპირა და... გერმანელი სნაიპერის ტყვიამ მას თავის ქალა ახადა. ტუკაევი დაღამებას დაელოდა და უკან გაწბილებული დაბრუნდა. მას ყველაზე მეტად ნერვებს ის უშლიდა, რომ სამი გასროლის მიუხედავად, გერმანელი კონკურენტის ადგილსამყოფელი ვერ აღმოაჩინა. მეორე დღეს, ტუკაევმა დასვენება გადაწყვიტა, თუმცა სწორედ იმ დღეს, ზაუგენმა ოთხი ჯარისკაცი გამოასალმა სიცოცხლეს ანუ საბჭოთა არმიას დაემართა ის, რაც მანამდე გერმანელებს ემართებოდათ – პანიკა დაიწყო, სანგრიდან თავის აწევას ყველა ერიდებოდა. მომდევნო დღეს ციმბირელი სნაიპერი საგანგებოდ მოემზადა და გამოაცხადა, სანამ არ მოვკლავ, არ დავბრუნდებიო და წავიდა.

ორდღიანი ამაო ლოდინის შემდეგ, ტუკაევმა დაინახა, საღამოხანს როგორ შეირხა ერთი, თითქოს ჩვეულებრივი ბუჩქი. დაღამებას დაელოდა და ბუჩქისკენ ფრთხილად გახოხდა. იქ მისულმა კი მეტოქის ბუნაგი აღმოაჩინა. სხვადასხვა ნივთთან ერთად, ბალახებში პრეპარატ „პერვიტინის“ ცარიელი ბოთლიც ეგდო.

„პერვიტინზე“, ალბათ, ცალკე უნდა ვთქვათ – ეს პრეპარატი გერმანელებმა მოიგონეს და მას აქტიურად იყენებდა ადოლფ ჰიტლერიც. მისი მიღების შემდეგ ქრებოდა შიმშლის გრძნობა, ადამიანს ეძლეოდა ზღვა ენერგია და შეეძლო ბევრი ემუშავა. ვარაუდობენ, რომ სწორედ „პერვიტინის“ ჭარბმა დოზამ მიიყვანა ჰიტლერი ფსიქოზამდე და ბოლოს, არათუ ფრონტს, საკუთარ თავსაც ვეღარ აკონტროლებდა. მისი პირადი ექიმის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ფიურერი „პერვიტინის“ ისეთ დოზას ითხოვდა, რომელიც მომაკვდინებელი იყო და ამიტომ, ექიმი მას კოკაინთან ერთად გარეულს უკეთებდა, რაც ჰიტლერს უდიდეს ენერგიას აძლევდა, ორგანიზმს კი უნგრევდა.

როგორც ჩანს, „პერვიტინს“ სნაიპერიც აქტიურად იყენებდა.

ტუკაევმა კარგად შენიღბული ბუნაგის შესასვლელში ორი ხელყუმბარა ისე დაამონტაჟა, დაბრუნების შემთხვევაში, გერმანელი აუცილებლად უნდა აფეთქებულიყო. ნანატრი აფეთქების ხმა გამთენიისას გაისმა და ტუკაევმა პირადად დაინახა, როგორ აიყარა სხეულის ნაწილები ჰაერში. ის შტაბში მშვიდად დაბრუნდა და მეთაურს მოახსენა – მტერი განადგურებულია. ზუსტად ერთ საათში, ფრონტის ხაზზე, ხმის გამაძლიერებელში ზაუგენის ხმა გაისმა – „რუსო ვანია, შენი ჩანაფიქრი არ გამართლდა. სამწუხაროდ, ჩემი დამხმარე დაიღუპა. მე აქ შენს მოსაკლავად ვარ ჩამოსული და მოგკლავ კიდეც“...

ეს ნამდვილი შოკი იყო. საღამოს საბჭოთა ჯარისკაცებმა კიდევ ერთი ტყვე აიყვანეს და მან დაადასტურა, რომ დიტრიხი ცოცხალი იყო და საფარში დამხმარე გაგზავნა რაღაცის წამოსაღებად. ტყვემ განაცხადა, რომ დიტრიხი ერთი და იგივე ადგილიდან არასდროს ისროდა, ამიტომ იქ დაბრუნებას არ აპირებდა. რომ არა შემთხვევითობა, ზაუგენი მკვდარი იქნებოდა, ახლა კი... საბჭოთა ჯარისკაცებში ისევ პანიკა დაიწყო. ტუკაევი კონკურენტის მოსაკლავად კიდევ ერთხელ გავიდა. ამჯერად, ზუსტად იცოდა, რომ შეცდომის უფლება აღარ ჰქონდა და ამიტომ, ზედმეტად ფრთხილობდა. მან თავშესაფრად თითქმის მოშიშვლებული ადგილი აირჩია, კარგად შენიღბულ ადგილზე კი კარაბინი დაამაგრა, რომლის სასხლეტსაც თოკი მოაბა და ლოდინი დაიწყო. დახლოებით, 300 მეტრში მიტოვებული თავლა იდგა, რომელიც ტუკაევს კარგად ჰქონდა შესწავლილი, ახლა კი აღმოაჩინა, რომ თავლას ერთ ადგილზე ორი ფიცარი აკლდა. მიხვდა სნაიპერი, რომ მტერი სწორედ იქ იყო ჩასაფრებული და თოკს მოქაჩა. კარაბინის ხმაზე, თავლაში, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ფიცრები აკლდა, ჩრდილი შეირხა, მაგრამ არავინ გამოჩენილა. ტუკაევმა სამიზნე ლინზა თვალთან მიიტანა და როგორც მერე იხსენებდა, ორი საათი არ განძრეულა, ის ისევ ჩრდილის განძრევას ელოდა და როგორც კი დაინახა, მაშინვე გათვლით ესროლა. ტყვიამ ჯერ ფიცარი გახვრიტა, შემდეგ – ზაუგენის სხეული. ლუფტვაფეს საუკეთესო მსროლელი განეიტრალებული იყო.

ტუკაევს, საბოლოო ჯამში, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს და ომის დასრულების შემდეგ, ის ცოტა ხანი საქართველოში, კონკრეტულად კი ქუთაისში ცხოვრობდა. იმასაც ამბობენ, ქუთაისში ტუკაევი სპეციალური მისიით იყო მივლინებული, რამდენიმე გავლენიანი კრიმინალისთვის უნდა ესროლა და მოეკლა, ესეც საბჭოთა ხელისუფლების შეკვეთა იყოო, მაგრამ იმ პერიოდში, სანამ სნაიპერი აქ ცხოვრობდა, გახმაურებული მკვლელობა (ყოველ შემთხვევაში, სნაიპერის შაშხანით) არ მომხდარა.

შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ჰადას მეიცადთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ორი ქვეყნის სამართალდაცვით უწყებებს შორის ჩამოყალიბებული თანამშრომლობის ეფექტიანობა. ვახტანგ გომელაურმა ყურადღება გაამახვილა ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებაში პოლიციის ატაშეების როლზე და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში, საქართველოს პოლიციის ატაშე გაემგზავრება ისრაელში, რაც არსებულ საპოლიციო თანამშრომლობას კიდევ უფრო ნაყოფიერსა და ინტენსიურს გახდის. მხარეებმა ასევე ისაუბრეს ისრაელის ეროვნული პოლიციის ხელმძღვანელის ვიზიტზე საქართველოში, რომელიც უახლოეს მომავალში შედგება.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების სურვილი გამოთქვეს და სხვადასხვა მიმართულებით არსებული კავშირების გაფართოების პერსპექტივები დასახეს.

ვახტანგ გომელაურმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან და მთავრობის წევრებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

ვახტანგ გომელაურმა პარკში მდებარე მელიტონ ქანთარიას ბიუსტი ყვავილებით შეამკო.

სამეგრელოს პოლიციამ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო ზემო-სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის წალენჯიხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის ბრალდებით ორი პირი დააკავეს.

1976 წელს დაბადებულ პ.კ.-ს ბრალი წინასწარი შეცნობით ოჯახის არასრულწლოვანი წევრის გაუპატიურებაში ედება, ხოლო 1995 წელს დაბადებული ტ.თ. არასრულწლოვნის გაუპატიურების ბრალდებითაა დაკავებული.

დანაშაულები 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ პ.კ. არასრულწლოვან შვილთან, მისი ნების საწინააღმდეგოდ ამყარებდა სქესობრივ კავშირს. ხოლო ფაქტის გახმაურების შემთხვევაში, სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. მამის მუქარას არასრულწლოვანი რეალურად აღიქვამდა, რის გამოც ის მომხდარს წლების განმავლობაში მალავდა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ არასრულწლოვან გოგონასთან, სქესობრივ კავშირს სისტემატიურად ამყარებდა მეზობელი, ტ.თ.

გამოძიება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გაუპატიურებისა და წინასწარი შეცნობით ოჯახის არასრულწლოვანი წევრის გაუპატიურების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 11 პრიმა 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ არასრულწლოვნით ვაჭრობის ფაქტზე ოთხი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად საქმეზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოთხი პირი დააკავეს.

2001 წელს დაბადებული დ.ფ., 1971 წელს დაბადებული გ.ფ., 1998 წელს დაბადებული ნ.გ. და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 2000 წელს დაბადებული მ.კ. არასრულწლოვნით ვაჭრობის ბრალდებით არიან დაკავებულები.

დანაშაული 14-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები – დ.ფ., გ.ფ., ნ.გ. და მ.კ მცირეწლოვან ბავშვებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდნენ და შრომით ექსპლუატაციას სისტემატურად ახდენდნენ. ისინი მოზარდებს აიძულებდნენ, გაეყიდათ ყვავილები და ეთხოვათ მოწყალება, მიღებულ თანხას კი თავად ითვისებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვნები არ დაემორჩილებოდნენ დაკავებულების მითითებებს, მათ სიტყვიერად და ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 სეკუნდა მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე დაკავებულ ოთხ პირს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდა. ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები მუქარითა და ფსიქოლოგიური ზეწოლით, ოთხ მცირეწლოვან ბავშვს თბილისის ქუჩებში მოწყალების მოთხოვნასა და სხვადასხვა წვრილმანი ნივთების გაყიდვას აიძულებდნენ, აღნიშნულის შედეგად შეგროვილ თანხას კი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავდნენ.

„საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე ოთხ პირს ბრალდება წარუდგინა. მათ აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდათ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ოთხივე ბრალდებული, სარგებლის მიღების მიზნით, მათ არასრულწლოვან ოჯახის წევრებს შრომით ექსპლუატაციას უწევდნენ. ბრალდებულები მუქარითა და ფსიქოლოგიური ზეწოლით, ოთხ მცირეწლოვან ბავშვს აიძულებდნენ თბილისის ქუჩებში მოწყალების მოთხოვნას და სხვადასხვა წვრილმანი ნივთების გაყიდვას, აღნიშნულის შედეგად შეგროვილ თანხას კი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავდნენ.

ორ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 სეკუნდა მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „გ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით წარედგინათ, რაც სასჯელის სახით 14-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო ორს ბრალდება 143 სეკუნდა-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინათ, რაც სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ისტორია დაიწერა – ქართული ფინალი, სასწაული დოჰაში!

მას შემდეგ, რაც ძიუდო სპორტის სახეობების განუყოფელი ნაწილი გახდა, მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება ათმა ძიუდოისტმა მოახერხა. საერთო ჯამში, ათ ქართველზე, მსოფლიო ოქროს 12 მედალი მოდის (თემურ ხუბულურმა და ტატო გრიგალაშვილმა ეს ორჯერ მოახერხეს). სანამ გასულ კვირას დოჰაში მომხდარზე გიამბობთ, ყველა ჩემპიონი გავიხსენოთ. საბჭოთა კავშირის დროს, ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი ამირან ტოტიკაშვილმა (60კგ.), თემურ ხუბულურმა ორჯერ (95კგ.) და კობა კურტანიძემ (95კგ.) მოიგეს, დამოუკიდებელი საქართველოს სახელით კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ლუხუმ ჩხვიმიანი (60კგ.), ლაშა შავდათუაშვილი (73კგ.), ავთანდილ ჭრიკიშვილი (81კგ.), ტატო გრიგალაშვილი ორჯერ (81კგ.), ირაკლი ცირეკიძე (90კგ.), ლუკა მაისურაძე (90კგ.) და გურამ თუშიშვილი (+100კგ.) ავიდნენ.

აქამდე არასდროს ყოფილა, რომ საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ერთ ჩემპიონატზე ორი ოქრო მოეგოს. მთლიანად, ძიუდოს ისტორიაში, მხოლოდ მეოთხედ მოხდა, რომ მსოფლიოს პირველობაზე ფინალში ერთმანეთს ერთი ქვეყნის წარმომადგენლები დაეჭიდნენ. ქართველებამდე ეს იაპონელმა, ყაზახმა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა მოახერხეს. აი, 11 მაისს კი, დოჰას ტატამზე, უძლიერესის გამოსავლენად, ერთმანეთს ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური და ევროპის ჩემპიონი ლუკა მაისურაძე დაეჭიდნენ. საგულისხმოა, რომ არც თუ დიდი ხნის წინ, ამ ორმა, თბილისის საერთაშორისო ტურნირის ფინალი იჭიდავა და მაშინ ბექაურმა მოიგო, ახლა კი...

დამღლელი და დაძაბული ბრძოლა დამატებით დროში გაგრძელდა და საბოლოოდ მაისურაძემ იმარჯვა. ქართველების გამოსვლას ტრიბუნებიდან უყურებდნენ ფავორიტებად მიჩნეული იაპონელები, სამხრეთ კორეელები, მონღოლები... და დაჯილდოვების ცერემონიალის დროს, ყველაზე მაღლა ორი ქართული დროშა იყო აწეული. ზოგადად, 90კგ. წონითი კატეგორია ქართველ ძიუდოისტებს კარგად აქვთ დაცდილი – 2004 წელს, ამ წონაში ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური გახდა, ოთხი წლის შემდეგ, ოლიმპიადა ირაკლი ცირეკიძემ მოიგო, ბოლო ოლიმპიადაზე, ამავე წონაში ლაშა ბექაურმა იპირველა და აგერ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალიც ქართველებმა იჭიდავეს. ცალკე სათქმელია ტატო გრიგალაშვილის გამოსვლა. ის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, პირველი ქართველი ძიუდოისტია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატი ორჯერ მოიგო (მანამდე, ეს ქართველთაგან მხოლოდ თემურ ხუბულურმა მოახერხა) და ტატოს ასაკის გათვალისწინებით, შორს არ არის ის დრო, როცა ის ოქროს მედლების კოლექციას კიდევ არაერთ მნიშვნელოვან ჯილდოს შემატებს.

რეალური ვარიანტი – მამარდაშვილი პრემიერლიგაში

მიმდინარე სეზონის ბოლოს, ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად, „ვალენსია“ გიორგი მამარდაშვილს და იუნუს მუსას შეელევა. ეს ორი ფეხბურთელი, „ღამურების“ დღევანდელ შემადგენლობაში ყველაზე ძვირადღირებულები არიან და ისინი რომ არ გაასხვისონ და პრიმერადივიზიონში დარჩნენ, ფინანსური პრობლემების გამო, შესაძლოა, მაინც დააქვეითონ. სწორედ ამიტომ, „ვალენსიასთვის“ საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ორი მოთამაშის გაყიდვით გადარჩენა იდეალური გამოსავალია. თანაც, იმის მიუხედავად, რომ როგორც მამარდაშვილის, ისე მუსას შემთხვევაში, გამოსასყიდ თანხად მითითებული 100 მილიონი ევრო ბევრად შემცირდება და საერთო ჯამში,კლუბი ორივე მოთამაშეს, 45-50 მილიონად შეელევა.

მუსასი რა გითხრათ, მაგრამ მამარდაშვილის შეძენა რამდენიმე პრემიერლიგურ კლუბს სურს. მათ შორის, გრანდებიც არიან, თუმცა „ლივერპულს“, „არსენალსა“ და „მანჩესტერ სიტის“, გიორგი უფრო გრძელვადიანი პერსპექტივისთვის, მეორე კიპერად სურთ, რაც ჩვენებურისთვის კარგი არ უნდა იყოს. სამაგიეროდ, „ლესტერს“, „ვესტ ჰემსა“ და „კრისტალ პალასს“ მამარდაშვილი პირველ მეკარედ სჭირდებათ და ამ სამი კლუბის წარმომადგენელი, „ვალენსიას“ ბოლო თამაშებს ერთგული გულშემატკივარივით არ აცდენს. უდიდესი ალბათობით, „ვესტ ჰემი“ და „კრისტალ პალასი“ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებას შეძლებენ, რასაც „ლესტერზე“ ჯერჯერობით ვერ ვიტყვით და გადაწყვეტილებასაც სეზონის დასრულებისა და სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ მიიღებენ.

ჩაკვეტაძე ავსტრიაში, თუ შოტლანდიაში?

გიორგი ჩაკვეტაძე ამჟამად სლოვაკურ „სლოვანში“ თამაშობს, მაგრამ სეზონის დასრულებისთანავე გუნდის დატოვება მოუწევს. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველ შემტევს 2026 წლამდე კონტრაქტი ბელგიურ „გენტთან“ აკავშირებს, „სლოვანს“ კი, სურვილის მიუხედავად, მისი გამოსყიდვა არ შეუძლია. კლუბმა კიდევ ორ ქართველს, გურამ კაშიასა და ჯაბა კანკავას მოქმედი კონტრაქტები ერთი წლით გაუხანგრძლივა და იქვე დასძინა, რომ სურვილის მიუხედავად, ჩაკვეტაძის შენარჩუნებას ვერ ახერხებს.

„გენტი“ ქართველთან განშორებას იაფად არ აპირებს, მაგრამ არც მისი გუნდში დაბრუნება სურს და ისევ იჯარაზე მუშაობს. გიორგის გადაბირების სურვილი შოტლანდიურ „აბერდინსა“ და ავსტრიულ „რაპიდს“ აქვთ. ორივე კლუბი მზადაა, ჩაკვეტაძე ერთი წლით ინათხოვროს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენებური ფორმაში შევიდა და ბოლო შეხვედრებში „სლოვანის“ რიგებში საუცხოოდ გაისარჯა, „გენტი“ იჯარაშიც სოლიდურ თანხას ითხოვს. ასეა თუ ისე, როგორც ბელგიური მედია წერს, „გენტი“ ორივე ქვეყნის კლუბს ესაუბრება და უფრო დიდია იმის შანსი, ჩაკვეტაძემ თავი ბრიტანეთში ამოჰყოს.

დე ლაურენტისი: „ხვიჩა არ იყიდება, ოსიმენი 160 მილიონი ღირს“

მას შემდეგ, რაც „ნაპოლიმ“ სკუდეტო ოფიციალურად გაიფორმა და იზეიმა კიდეც, კლუბის პრეზიდენტმა, აურელიო დე ლაურენტისმა, ახალი სეზონის გეგმებზე დაიწყო საუბარი, თუმცა ყველა ხვდება, რომ ნეაპოლელებმა ამ შემადგენლობის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ და სურვილის მიუხედავად, პრეზიდენტს რამდენიმე ლიდერთან გამოთხოვება მოუწევს. უკვე გადაწყვეტილია კიმ მინ ჯეს ბედი, რომელიც კარიერას ინგლისში გააგრძელებს, კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი თქვა ლობოტკამ, მსურველების რიგი უდგათ ხვიჩა კვარაცხელიასა და ვიქტორ ოსიმენს, რომლებზეც დე ლაურენტისმა ხმამაღლა განაცხადა, არ იყიდებიანო, ახლა კი პოზიცია შეიცვალა.

„ვხვდები, რომ ამ შემადგენლობის შენარჩუნება გამორიცხულია. ამიტომ, ვისაც ოსიმენის შეძენა სურს, 160 მილიონის გადახდა მოუწევს, ეს ბოლო ფასია. რაც შეეხება კვარაცხელიას, ის ხელშეუხებელია და მომავალ სეზონსაც აუცილებლად ჩვენთან გაატარებს“, – ეს განცხადება კი გააკეთა დე ლაურენტისმა, მაგრამ ჟურნალისტები წერენ, ამით პრეზიდენტი ქართველზე ფასის გაზრდას ცდილობს და როგორც კი შესაფერის წინადადებას მიიღებს, ქართველს აუცილებლად გაყიდისო.

ნიკოლოზ ბასილაშვილი: „მე არ დავნებდები!“

ძალიან დიდი ხანია, ნიკოლოზ ბასილაშვილის მატჩი არ მოუგია და ბოლო ტურნირებში აშკარად არადამაჯერებლად გამოიყურება. არადა, დრო იყო, ნიკა ყველა მეტოქეს აშინებდა და მის წინააღმდეგ თამაში პირველ ნომრებსაც კი უჭირდათ. ახლა კი... ტრავმის გამო აღებული იძულებითი პაუზის შემდეგ, ნიკა ჯერ სარდინიის ტურნირზე გამოჩნდა, მერე რომის მასტერსის საკვალიფიკაციო ბადეში, მაგრამ ვერ იმარჯვა. დღეის მდგომარეობით, ბასილაშვილი მსოფლიო რეიტინგში 173-ე პოზიციაზეა, რაც მისი შესაძლებლობების ჩოგბურთელისთვის ცუდი შედეგია.

„დიდი ხანია, არაფერი დამიწერია. ამიტომაც, მსურს ქომაგებს და იმ ხალხს, ვინც ჩემზე ზრუნავს, მცირე სიახლე მივაწოდო. ბოლო სამი-ოთხი წელიწადი ძალიან რთული პერიოდი იყო, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე, პროფესიულ კარიერაში...

ბოლო სამი წელია, რაც ვებრძვი იდაყვის ტრავმას, რომელიც სრული ენერგიით თამაშის საშუალებას არ მაძლევს. მხოლოდ ჩემი შესაძლებლობების ნახევარს ვიყენებ, ყოველდღე ვსვამ ტკივილგამაყუჩებლებს და ახალ-ახალი გამოსავლის ძიებაში ვარ. კორტზე ყოველი გასვლა ენით აუწერელ ტკივილს მაყენებდა, რომელიც თავდაჯერებულობას მიკარგავს და ენერგიას მართმევს. არადა, ადრე ჩოგბურთის თამაშით სიამოვნებას ვიღებდი.

მე მაინც არ ვნებდები, მჯერა, გამოსავალს ვიპოვი, რისთვისაც ყველაფერს გავაკეთებ. გმადლობთ, მხარდაჭერისთვის“, – ეს წერილი ბასილაშვილმა სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

შეგახსენებთ, რომ 31 წლის ქართველი პროფესიულ ჩოგბურთში 2008 წლიდან არის და ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობითა თუ გამარჯვებებით, ბონუსების სახით, 8 721 417 დოლარი გამოიმუშავა.

ზედიზედ მეოთხედ – უეფას ლიგის ფინალის ადგილი ისევ გადაადგილდა

ყველაზე პრესტიჟული საკლუბო გათამაშების, ჩემპიონთა ლიგის ფინალური შეხვედრა, შესაძლოა, დაანონსებულ ქალაქში ისევ არ ჩატარდეს. ისევ იმიტომ, რომ პანდემიის გამო, უეფამ ლიგის ფინალები 2020 და 2021 წლებში გადაიტანა და იმ ქალაქებში გამართა, სადაც კორონავირუსი ნაკლებად მძვინვარებდა. 2022 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის, სანკტ-პეტერბურგს უნდა ემასპინძლა, მაგრამ რუსეთის მხრიდან უკრაინაში შეჭრის გამო, ფინალი პარიზში გადაიტანეს.

ახლა ფინალი 10 მაისს, სტამბოლში უნდა შედგეს, მაგრამ ქვეყანაში არეულობაა. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით, მოქმედი პრეზიდენტი რეჯებ ტაიპ ერდოღანი, უშუალო კონკურენტ ქამალ კილიჯდაროღლუს 5%-ით ჩამორჩება და მეორე ტური აუცილებლად დაინიშნება. ვარაუდობენ, რომ მეორე ტურის შემდეგ, თურქეთში არეულობები დაიწყება და გულშემატკივრები უსაფრთხოდ ვერ იქნებიან. ჰოდა, ახლა უეფა რამდენიმე ვარიანტს განიხილავს, თუ სად შეიძლება გაიმართოს ლიგის ფინალი, რომელიც 10 ივნისს არის ჩანიშნული.

მე შენზე ვლოცულობ, ბებო!

ენდი ნემსიწვერიძე

ბევრი არა, რამდენიმე დედალი ჰყავდა და ერთი მამალი.

– ჯი-ჯი-ჯი-ჯი-ჯიია– ჯიიია! – დილით, ადრე რომ შეუკივლებდა, თუ უკვე შეჩვეული არ იყავი, გეგონებოდა, ვიღაცა შეიცხადესო სოფელში, არადა, ეს ბებიაჩემი იყო, ქათმებს ეძახდა დასაპურებლად, უფრო სწორად, დასასიმინდებლად, რადგან კარგა მოდიდო ვარცლში, რომელიც მხოლოდ ქათმებისთვის ჰქონდა გამოყოფილი, მუდამ ხელით დაფშვნილი სიმინდის მარცვლები ეყარა.

დაიცლებოდა თუ არა, გულმოდგინედ ჩამოჯდებოდა, ცალ ხელში სიმინდის ტაროს დაიჭერდა, მეორე ხელს კი, უკვე გაფშვნილი სიმინდის „ქუნჩალას“ ახმარდა და ასე ეიოლებდა ტაროდან სიმინდის მარცვლების ჩამოკაკვლას. მერე, კალთას რომ გაივსებდა სიმინდის მარცვლებით, წამოდგებოდა და ვარცლში ჩააკაბაკალთებდა.

– ესეც ასეო, – დაუსვამდა ბეჭედს და სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს.

თუ ბაბუას ხშირად მოკრავდით თვალს ჩრდილში წამოგორებულს, ან იქვე მდგარი გრძელი ურმის პირზე წამოფალანგებულს, ბებიას დამჯდარს ვერასოდეს ნახავდით: ის ან ცომს ზელდა, ან თონისთვის ფიჩხს ამზადებდა, ან აცხობდა; ხან ვენახში საქმიანობდა, ხან – ბოსტანში, ხანაც ხარ-ძროხას პატრონობდა და უვლიდა.

თუ როდესმე ჩამომჯდარს დაინახავდით ეზოში, დაბალ ჯორკოზე, მაშინაც კი კრუხ-წიწილას ითვლიდა, სადმე ხომ არ გაიბნა, ან ქორმა ხომ არ აგვწაპნაო მინდვრიდან. ხოლო ურემზე წამოგორებულ ბაბუასთან ჩვენ, ბავშვებსაც თუ მოგვკრავდა თვალს, მაშინვე მოგვაძახებდა, არ დაკარგოთ, არა, სიზარმაცის ჯიშიო, თუმცა მეორე წუთში ისე მიგვიპატიჟებდა სახელდახელოდ გაწყობილ საოჯახო სუფრასთან, იფიქრებდი, რამდენიმე ხნის წინ რომ ზარმაცებს ეძახდა, იმათ კი არა, ყანაში შრომით დამაშვრალი ნადი მიიპატიჟა დასანაყრებლადო.

მადლიანი ქალი იყო, ხელბარაქიანიც, მისი პირიდან ავი სიტყვა არავის გაუგონია, ჩვენზე გაკაპასებული დედა რომ მიგვაწყევლიდა, მაშინვე დაუშლიდა, წყევლა როგორ შეიძლება, უცებდა, რომ დაესწროს მოამინე, ხო დევიღუპეთ და ამოვვარდითო, თან ცაში აიხედავდა, პირჯვარს გადაიწერდა და იტყოდა, ნუ უსმენ და უგდებ ყურს, დედის წყევლა ლოცვად შეისმინეო.

მეც ბევრჯერ ავიხედე, ნეტა, სად ზის-მეთქი მოამინე ასეთ ადგილზე, მარტო ბებიას თვალი რომ სწვდება და მე კი ვერასოდეს მოვახერხე მისი დანახვა-მეთქი.

მაღალი, ხმელი, ბრიალა შავი თვალებით, გრძელი ხელებითა და ხელებზე შრომისგან დაკოჟრილი თითებით; მის სახეზე რამე საცხი, ან ტუჩებზე პომადა არასოდეს მინახავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არისტოკრატიული იერი ჰქონდა, ისე მოხუცდა, წელში არ მოხრილა, მუდამ შავი ფერის კაბებს იცვამდა და შავიფერისავე ლეჩაქი ჰქონდა წაკრული; ერთადერთი, სადღესასწაულო დღეებში მოიხდიდა შავ ლეჩაქს და თეთრი ფერის თავსაფარს დაიფარებდა თავზე, ბავშვებიანი ოჯახი გვაქვს და დღესასწაულზე არ შეიძლება თალხი ფერის თავსაბურავითო.

უხმო, უწყინარი და ავ-კარგიანი ქალი იყო, ზედმეტად ყურადღებიანი და მოსიყვარულე.

მთელი ბავშვობა ბებიასთან გავატარე, მასთან ვწვებოდი – მისი სითბოს მადლი ახლაც მახსოვს...

მოწესრიგებული და ძალზე სუფთა ქალი იყო, სოფელში ასეთებზე იტყოდნენ, წყალს წყლით რეცხავსო.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ობოლი არ ვიყავი და მშობლები მყავდა, ბებიაჩემის გაზრდილად ვითვლები – შინ თუ გარეთ მისი ყურადღება არასოდეს მომკლებია, ზღაპრებსაც მიყვებოდა, ლეგენდებსაც, უამრავი ანდაზა იცოდა, სულ მინდოდა, ჩამეწერა მისი ანდაზები, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე, არადა, ნებისმიერ ამბავს თუ მოვლენას ისე მიუსადაგებდა ძველ გამონათქვამს, გაგაოცებდა.

ისე, მხოლოდ ოთხი კლასის განათლება ჰქონდა, მაგრამ მის წინაშე, ზეპირ ანგარიშში, ჩვენი სოფლის უნივერსიტეტდამთავრებული ბუღალტერიც კი ბევრჯერ მინახავს თავდახრილი და დამორცხვებული.

საღამოს, როცა დედა სასკოლო დავალებების შესამოწმებლად მოგვიხმობდა, განსაკუთრებით, თუკი გამრავლების ტაბულა გვქონდა სასწავლი, თუ ბებო ახლო-მახლო იყო, არაფრის გვეშინოდა, ისე მოხერხებულად გვკარნახობდა, ამაზე დედაჩემი საყვედურობდა, ის პასუხს არ აძლევდა, მაგრამ თუ შეატყობდა, გაგვიჭირდებოდა, მაშინვე წაგვეშველებოდა. გვიკვირდა ბებიას ასეთი ცოდნა და ხშირად გამოვიტანდი მათემატიკის რვეულს, რომელსაც უკანა ყდაზე გამრავლების ტაბულა ჰქონდა დატანებული და ამორჩევით ვცდიდი ბებიას ცოდნას და მის კომპეტენციას, მაგრამ ყველაფერი იცოდა, ერთი არ წაიფორხილებდა და შეცდებოდა.

როცა ჩვენ გაოცებას გამოვხატავდით, გაიღიმებდა და გვეტყოდა:

– უი, თქვე ბრუნდე ტვინიანებო, რავა ყველა თქვენნაირი გგონიათ, მე რომ ვსწავლობდი, იმ ოთხ კლასს ახლა თქვენი ათწლედი კოჭებამდე ვერ შემოწვდებაო.

გვიკვირდა, რა იყო ის ოთხწლედი, ასეთ განათლებას რომ იძლეოდა, მაგრამ ვაღიარებდით, რომ ის ოთხწლედი კი არ იყო განსაკუთრებული, არამედ, ჩვენი ბებია იყო უნიჭიერესი და მცოდნე.

ბებია ბაბუაჩემის მეორე ცოლი იყო, პირველი მეუღლე, როცა მეხუთე შვილი შეეძინა, რაღაც სენი შეჰყრია და გარდაცვლილა, ერთი წლის თავზე, ბაბუას შვილების მარტო მოვლა გაძნელებია და ბებიაჩემი შეურთავს. ბაბუა მასზე 20 წლით უფროსი იყო. ეს ამბავი, სკოლის დამთავრების შემდეგ, სტუდენტი რომ გავხდი, მაშინ შევიტყვე, მანამდე არაფერი ვიცოდი და გაოცებული დავრჩი, რადგან მთელი ბავშვობა, ზღაპრების მიხედვით, ის მესმოდა, რომ დედინაცვალი ბოროტი და გულქვაა, ახლა კი, პარალელი გავავლე და ვიფიქრე, რომ ზღაპარი სწორედ მაგიტოა ზღაპარი, რომ ტყუილი წერია, თორემ ბოროტება, გულქვაობა და ბებიაჩემი ერთმანეთთან ვერაფრით გავაიგივე, მის მიერ გაზრდილი ბაბუაჩემის შვილებიც, ანუ მამაჩემი და მისი დებიც ძალიან სიყვარულით ეპყრობოდნენ და „დედუას“ ეძახდნენ, ისიც გიჟდებოდა მათ დანახვასა და შეხვედრაზე, როცა უკვე დაოჯახებულები იშვიათად, ზაფხულობით თუ მოიყრიდნენ თავს ძველ ოჯახში.

ბებიას ბაბუაჩემთან საკუთარი შვილი არ გაუჩნდა თუ არ გააჩინა, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ის, რომ ნამდვილი დედის როლს სწევდა, დაბეჯითებით შემიძლია თქმა.

ჩვენც, ყველას გვიყვარდა – შვილებსაც და შვილიშვილებსაც, ვგრძნობდით, რომ ის ჩვენი უერთგულესი და მოსიყვარულე ადამიანი იყო და ამის გამო ჩვენც უსაზღვროდ გვიყვარდა ჩვენი უსათნოესი ბებია.

ზემოთ შავი კაბა და ლეჩაქი ვახსენე, რომელიც ბებიას ძირითადი სამოსი იყო, მას შავი ფერი არ უყვარდა და ამის გამო არ ეცვა ეს თალხი ტანსაცმელი, გლოვის ნიშნად ატარებდა. საგლოვარი კი, სამწუხაროდ, უხვად დააბერტყა ცხოვრებამ: ჯერ იყო და, მისივე გაზრდილი უფროსი ვაჟი, მამაჩემის ძმა ტრაგიკულად დაიღუპა 27 წლის ასაკში, რომელიც ბებიაჩემს სულის შეძვრამდე ჰყვარებია და განუცდია; მერე და გარდაეცვალა, მერე – ძმა ჯერ ერთი, შემდეგ – მეორე, დისშვილები, დაც და ბოლოს, შვილიშვილიც, ჩემი მამიდაშვილი.

ამ განსაცდელში იცხოვრა მთელი ცხოვრება ბებიამ და ახლა ვხვდები, ისეთი მგრძნობიარე და მოსიყვარულე ადამიანისათვის, როგორიც ის იყო, რა სულიერი ტრავმა იქნებოდა ყველაფერი ეს.

ხშირად მინახავს ეზოში მომუშავე, იქვე, კუთხეში ჩამოჯდებოდა და მოიტირებდა ყველა თავის ახლობელს, ენით აღწერა არ შემიძლია ამ სანახაობის. დიახ, ეს იყო რეალური ცხოვრების ერთი მსახიობის თეატრი:

ის იჯდა, ხელები კალთაზე ეწყო, ოდნავ წინ გადახრილი, ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი და თან მონოლოგს კითხულობდა, ეს ტირილი არ იყო, ეს იყო სევდიანი სიმღერა, დალაგებული შინაარსობრივად, გამდიდრებული ათასგვარი ეპითეტითა და გამონათქვამით, ეს იყო უზარმაზარი სცენა ცხოვრებისა, რომელ სცენაზეც იდგა სევდიანი და ტკივილიანი ბებია და ჰყვებოდა სიყვარულის ბალადას, მოსთქვამდა ამ ცხოვრების უკეთურობაზე...

და ყოველ ამ მოთქმას ასრულებდა ბუნებისა და სიცოცხლის სილამაზის აღწერით, რომ ტკბილია სიცოცხლე და ამ სიცოცხლისგან გარიდების გამო ებრალებოდა სწორედ მისი გარდაცვლილი ახლობლები.

მერე, ისევ საქმეს შეუდგებოდა, გულმოოხებული და ისევ გაგვიცინებდა, ჩაგვიხუტებდა და მოგვეფერებოდა.

მეც გაკვირვებული შევყურებდი ჩემს ჯადოქარ ბებიას, რომელსაც ასეთი გარდასახვის ნიჭი ჰქონდა და რომელსაც შეეძლო, ასე ოსტატურად, სარეცხივით გამოეფინა გარეთ საკუთარი შინაგანი ემოციები.

მას არასოდეს ავიწყდებოდა საკუთარი მოვალეობები, მიცვალებულთა პატივმისაგებად საკურთხის გაკეთება იქნებოდა ეს თუ ჩვენთვის, ცოცხლებისათვის უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა...

ის ყველაზე გვიან იძინებდა და ყველაზე ადრე იღვიძებდა...

ის ყველაზე მეტს შრომობდა და ყველაზე გვიან იღლებოდა...

ის ჩვენით ხარობდა და ამ სიხარულის ნატვრით წავიდა ამ ქვეყნიდან...

მე შენზე ვლოცულობ, ბებო...

მე მიყვარხარ შენ!

უძვირესი ნაყინი ტრიუფელისგან

იაპონური ბრენდის, Cellato-ს ნაყინმა Byakuya-მ ახალი რეკორდი დაამყარა, როგორც მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულმა ნაყინმა. ამ ცივი ტკბილეულის ხავერდოვანი საფუძველი რძის, ორი სახის ყველის, კვერცხის გულისა და ხახვისგანაა მომზადებული, ზემოდან კი პარმეზანი, თეთრი ტრიუფელი, ტრიუფელის ცხიმი და საკვებად ვარგისი ოქროთია დაფარული. უმაღლესი ხარსხის ნაყინი მსუბუქად ტკბილია, ის რთული გემოთი და მდიდრული ტექსტურით გამოირჩევა. ეს უძვირესი ტკბილეული მოხდენილ შავ ყუთშია მოთავსებული და ხელით შექმნილი მეტალის პატარა კოვზი მოჰყვება, რომელიც ოსტატ Takeuchi-ს ეკუთვნის. დამზადებისას ის მასალა და ტექნოლოგიაა გამოყენებული, რომელსაც ტაძრებისა და სხვა სიწმინდეების მშენებლობისას იყენებენ. უძვირესი ნაყინის ერთი პორცია, 130 მლ. – 880 ათასი იენი (დაახლოებით, 6 530 დოლარი) ღირს. ტკბილეულის მწარმოებელი კომპანია გვირჩევს, ეს ნაყინი დაძველებულ თეთრ ღვინოსთან ერთად მივირთვათ.

კულინარიული ტური სტრატოსფეროში

ფრანგული ტურისტული კომპანია Zephalto, რომელიც საჰაერო ბურთით მოგზაურობაზეა სპეციალიზებული, მომავალ წელს აპირებს, საოცარი კულინარიული ტურები მოაწყოს სტრატოსფეროში. მსურველებისთვის მოგზაურობა საფრანგეთის კოსმოდრომიდან დაიწყება, სადაც ისინი დაგეგმილ რეისამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავლენ, მოსამზადებელ პროცესს გაივლიან და რამდენიმე ღონისძიებასაც დაესწრებიან. გაფრენის დღეს ექვსი ბედნიერი ტურისტი სტრატოკაფსულით ჰაერში, 24.9 კილომეტრის სიმაღლეზე ავა. მთელი გზა ექვს საათს გაგრძელდება. ამ დროის განმავლობაში, მოგზაურები ფრანგი კულინარების შექმნილი კერძებით ისიამოვნებენ და ღვინის დეგუსტაციაშიც მიიღებენ მონაწილეობას გამოცდილი სომელიეს ხელმძღვანელობით. კოსმოსური სფერო Wi-Fi-ით იქნება აღჭურვილი, ასე რომ, მთელი ამ მოგზაურობის პირდაპირ ეთერში ტრანსლირებაც შესაძლებელი იქნება. კოსმოსური კულინარიული ტურის ღირებულება 132 ათასი დოლარიდან იწყება.

ბრიტანეთში სამი მშობლის პირველი ბავშვი დაიბადა

ნისლიან ალბიონზე, სამი მშობლის დნმ-ის მატარებელი პირველი ბავშვი დაიბადა, რაც ექსტრაკორპორალური განაყოფიერების ნოვატორული პროცედურის შედეგად მოხერხდა. პროცედურა მემკვიდრეობითი უკურნებელი დაავადებების აღმოფხვრის მიზნით ჩატარდა. როგორც მედიკოსები ამბობენ, ჩვილს, როგორც წესი, დედისა და მამის დნმ აქვს, ასევე, მცირე რაოდენობით გენეტიკური მასალა – დაახლოებით, 37 გენი (სულ 0.2%) – დონორისგან ერგო. კვლევების, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდა ასეთი ბავშვის დაბადება, პირველად დიდ ბრიტანეთში, ნიუკასლის უნაყოფობის მკურნალობის ცენტრში ჩატარდა. ცნობილია, რომ ახალი მეთოდის გამოყენებით, სამი მშობლის დნმ-ის მქონე, სულ ცოტა, ხუთი ბავშვი დაიბადა. მსოფლიოში პირველი კი, 2016 წელს, მექსიკაში გაჩნდა. მისი მშობლები იორდანიიდან არიან და პროცედურას გენეტიკური დაავადების გამო მიმართეს, რომელიც შვილების ყოლის საშუალებას არ აძლევდათ.

ჩამდინარე წყლებიდან ლუდი მოხარშეს



კალიფორნიელმა ლუდის მწარმოებლებმა ქრვისფწერი სასმელის დასაყენებლად ჩამდინარე წყლები გამოიყენეს. მიღებულ სასმელს Epic One Water Brew უწოდეს. ლუდის წარმოებისთვის კომპანია სან-ფრანსცისკოში მდებარე 40-სართულიანი კორპუსის ბინებში გამოყენებულ წყალს – აბაზანის, სამრეცხაოს, სამზარეულოს ნიჟარებიდან ჩამდინარე სითხეს აგროვებს და გადაამუშავებს მეორადი გამოყენებისთვის. შემდეგ უკვე წყალს ამოწმებენ ლუდსახარშშიც და სხვა ლაბორატორიებშიც. ახალი ლუდი გემოთი ტრადიციულ, გერმანული ღია ფერის ლუდის რეგიონალურ სახეობას ჰგავს. ჯერჯერობით, ჩამდინარე წყლისგან მოხარშული სასმელი გაყიდვაში არ გამოვა. კომპანიაში აცხადებენ, რომ ეს მხოლოდ „დემონსტრაციული პროდუქტია“ და იმის საჩვენებლად გაკეთდა, რომ წყლის მეორადი გამოყენება შესაძლებელია. გადამუშავებული წყლის შესახებ არსებული კანონები კი მისგან მოხარშული ლუდის გაყიდვის ნებას არ იძლევა.

სეისმური აქტივობა მელოდიად აქციეს



აშშ-ში, იელოუსტოუნის ნაციონალურ პარკში, სეისმური აქტივობა მელოდიად გარდაქმნეს. სპეციალურმა პროგრამამ, ონლაინ-რეჟიმში, სესიმოგრაფის მონაცემები პარტიტურად აქცია. ეს ექსპერიმენტი ბრიტანული უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ჩაატარეს. მიწისძვრაზე ინფორმაციის გაჩენისთანავე მოწყობილობის ეკრანზე ნოტებიც ჩანდებოდა. როცა ვულკანური ატივობის რყევების ამპლიტუდა იზრდებოდა, ხმებიც, გამების მიხედვით, მაღლა მიიწევდნენ. შედეგად, სწავლულებმა ლამაზი და მშვიდი მელოდია მიიღეს. იელოუსტოუნი სუპერვულკანია, სადაც წელიწადში 1 500-დან 2 500-მდე მიწისძვრა ხდება. მისი სეისმური აქტივობა ამერიკის გეოლოგიური სამსახურის 50 სეისმოგრაფით ფიქსირდება.

ქუჩების დასუფთავებას ძაღლებს ასწავლიან

იტალიელი კინოლოგები ოთხფეხა მეგობრებს ქუჩებში ნაგვის მოგროვებას ასწავლიან. შავი ლაბრადორი, სახელად ბეა, სიცილიაზე, ქალაქ კასტელბუონოს ყველაზე ცნობილი დამსუფთავებელია. წლინახევრის ძაღლი მთელი წლის განმავლობაში გადიოდა ინტენსიურ მომზადებას. ვარჯიშებს შორის იყო ნარჩენების მოძებნა და შეგროვება ქუჩებიდან, ბილიკებიდან, კლდოვანი სანაპიროებიდან და ადგილობრივი ტბებიდანაც კი. ბეა იმდენად კარგად ართმევს თავს დაკისრებულ ამოცანას, რომ მისით ადგილობრივ მერიაში დაინტერესდნენ და ფიქრობენ, მსგავსი სწავლებები სხვა ძაღლებსაც ჩაუტარონ და სისუფთავის დასაცავად გამოიყენონ.

მეტეორიტი საძინებელში ჩამოვარდა

აშშ-ში, მეტეორიტი საცხოვრებელ სახლს დაეცა. გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევა ნიუ-ჯერსის შტატში, ჰოუპველში მოხდა. როგორც აგდილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, მეტეორიტის სიგრძე 15 სანტიმეტრია, სიგანე – 10 სანტიმეტრი. ჩამოვარდნილმა ნატეხმა საცხოვრებელი სახლის სახურავი ჩაანგრია და საძინებელში ჩავარდა. საბედნიეროდ, იქ არავინ იმყოფებოდა. მოგვიანებით, მეტეორიტი სახლში დაბრუნებულმა პატრონმა აღმოაჩინა. როგორც ფრანკლინის ინსტიტუტის წამყვანი ასტრონომი, დერეკ პიტსი აცხადებს, შესაძლოა, მეტეორიტის ასაკი 4-5 მილიარდ წელს აღწევდეს. სპეციალისტები ახლა მის ზუსტ შემადგენლობას იკვლევენ. მათი მოსაზრებით, ციური სხეულის ჩამოვარდნა, შესაძლოა, მეტეორული ნაკადის ეტა-აკვარიდის ცოტახნისწინანდელ პიკს უკავშირდებოდეს.

პარკინსონს წყლის ბაქტერია იწვევს?

მიკრობების ფართოდ გავრცელებული სახეობა, რომელიც ტენიან გარემოში ბინადრობს, შესაძლოა, საკვანძო როლს ასრულებდეს პარკინსონის დაავადების განვითარებაში. ისინი გამოყოფენ ნაერთებს, რომლებიც ტვინის უჯრედების შიგნით უშვებენ ცილებს და წარმოქმნიან ტოქსიკურ თრომბებს. ასეთ დასკვნამდე ფინელი სწავლულები მივიდნენ. ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მათ დაადგინეს კავშირი ბაქტერიის არსებობასა და ტვინში ფიზიკურ ცვლილებებს შორის. მკვლევარები იმედოვნებენ, რომ მათი აღმოჩენა გააუმჯობესებს დაავადების ადრეულ დიაგნოსტიკას, ანდა სულაც შეანელებს მის პროგრესს. აღმოჩენის მიხედვით, მკურნალობის ახალი მეთოდები მიმართული უნდა იყოს საკვებ-მომნელებელ სისტემაზე, მის გარშემო არსებულ ნერვებზე და არა – ტვინზე.

ზრდის ახალი გენები გამოავლინეს

მასშტაბური პროექტის რეალიზაციისას, რომელიც ადამიანის სიმაღლეზე გარკვეული გენების ზემოქმედებას ეხებოდა, სპეციალისტებმა 400-ზე მეტი გენოტიპი აღმოაჩინეს, რომლებიც უშულო გავლენას ახდენენ სხეულის ზომების ზრდაზე. მედიკოსები მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სიმაღლე 80%-ით დამოკიდებულია მემკვიდრეობითობის ფუნქციონალურ ერთეულებზე, დღეისთვის ამ პროცესის გენეტიკური შემადგენლის მეათედი ნაწილია გამოვლენილი. სწავლულების მიერ 253 299 ადამიანის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ 424 გენში 947 ვარიაციაა, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზმის განვითარებაზე. ზოგიერთი გენი აკონტროლებს ძვლების ზომის ცვლის პროცესს სხვადასხვა დაავადების წარმოშობის დროს. სხვა ფუნქციონალური ნაწილები კოლაგენის – ხრტილი მნიშვნელოვანი კომპონენტის მეტაბოლიზმში არიან ჩართულნი.

მარილიანი საკვები სტრესს მოგიხსნით

ნატრიუმი, რომელსაც მარილიანი საკვები შეიცავს, ჰორმონ ანგიოტეზინს ახშობს, რომელიც შფოთვას უკავშირდება. ამერიკელი სწავლულები ცინცინატის უნივერსიტეტიდან, საკუთარი კვლევების საფუძველზე ამტკიცებენ, რომ მარილიანი კერძები ადამიანს სტრესის დაძლევაში ეხმარება. მათი თქმით, ასეთ საკვებში ნატრიუმი ახშობს ანგიოტეზინს და ხელს უწყობს ჰორმონ ოქსიტოცინის გამომუშავებას, რომელიც ორგანმიზმზე დამამშვიდებლად მოქმედებს და მთლიანობაში, ადამიანის მდგომარეობა ჰარმონიული ხდება. მართალია, კვლევა ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს, მაგრამ სწავლულები ირწმუნებიან, რომ ეს პროცესები ადამიანშიც ანალოგიურად მიმდინარეობს.

კიანუ რივზი პირველად ქორწინდება

ყველასთვის საყვარელი ჰოლივუდელი მსახიობი, კიანუ რივზი მალულად დაქორწინებას გეგმავს მეგობარ ქალზე, მხატვარ ალექსანდრა გრანტზე, – ამის შესახებ ერთ-ერთი გამოცემა წყვილთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით წერს. მათი ინფორმაციით, 58 წლის ვარსკვლავს სურს, საქორწინო ცერემონია ზაფხულსი, მაქსიმალურად კონფიდენციალურად გამართოს, რათა არ მიიპყროს საზოგადოების ყურადღება მათ ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე. მსახიობისა და მხატვრის ურთიერთობა 2011 წელს, წიგნზე – „ოდა ბედნიერებას“ ერთობლივი მუშაობის შემდეგ დაიწყო. გარკვეული პერიოდის მანძილზე, ისინი მხოლოდ მეგობრები იყვნენ, მერე კი გაამხილეს, რომ რომანი ჰქონდათ.

კოსმოსში მალე ქორწილებს გადაიხდიან

კომპანია Space Perspective-ის დამფუძნებელი, ჯეინ პოინტერი აცხადებს, რომ მისი კომპანია პირველი იქნება, რომელიც ადამიანებს კოსმოსში დაქორწინების შესაძლებლობას მისცემს. უკვე გვყავს რამდენიმე წყვილი, რომლებსაც სურთ, ამ საქმის პიონერები იყვნენ. ვნახოთ, ვინ დაასწრებს – აცხადებს ის. დიდი ალბათობით, ცერემონია კომპანიის ისტორიულ ხომალდზე Neptune გაიმართება.

„ყველა სხვა კოსმოსური ხომალდისგან, რომელთა ფრენის დროსაც ეკიპაჟის განყოფილება გამოეყოფა ერთი ფრენის სისტემიდან და გადადის სხვა ფრენის სისტემაში, ჩვენი აპარატის კაფსული დაცულია მთელი ფრენის განმავლობაში, აფრენიდან დაშვებამდე, რაც ქმნის შეუფერხებელი, უსაფრთხო და სასიამოვნო ფრენის გამოცდილებას“, – აცხადებს პიონტერი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომპანიამ Neptune-ის ასამუშავებლად ეკომეგობრული გამოსავალი მოძებნა: ხომალდს ენერგია მიეწოდება განახლებადი წყალბადის საშუალებით და არ ტოვებს ნახშირორჟანგს. ხომალდი აღჭურვილია სარეზერვო სისტემითაც – 4 პარაშუტით და საჭიროების შემთხვევაში, მის უსაფრთხო დაშვებას უზრუნველჰყოფს.

პლანეტის ნახევარი კლიმატს შეიცვლის

სწავლულები პროგნოზირებენ, რომ 2100 წლისთვის, ჩვენი პლანეტის რეგიონების თითქმის ნახევარში კლიმატური ზონები შეიცვლება. ეს კი ტემპერატურისა და ნალექების დონის ფუნდამენტურ ცვლილებებს გამოიწვევს. საუკუნის მიწურულს, მსოფლიო ხმელეთის 38-40% სხვა კლიმატურ ზონაში აღმოჩნდება, – ამბობენ მეცნიერები. მოდელირებამ აჩვენა, რომ ტროპიკული კლიმატური ზონა გაფართოვდება და ხმელეთის 25%-ს დაიკავებს. დედამიწის დიდი ნაწილი კი მშრალი რეგიონი გახდება. ეს ცვლილებები შექმნის პრობლემებს საკვების წარმოებაში და დაავადებების გავრცელებაში. 2100 წლისთვის ევროპის 89%-სა და ჩრდილოეთ ამერიკის 66%-ში სრულად შეიცვლება კლიმატი. აფრიკაში ცვლილებები ექსტრემალური ამინდის მოვლენების სახით გამოვლინდება. ყველაზე მკვეთრი ცვლილებები კი პოლარულ ზონაში მოხდება – მისი ფართობი საგრძნობლად შემცირდება.

საჩუქარი სწორად გადაყრილი ნაგვისთვის

ბელგიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, წაახალისოს ქვეყნის მცხოვრებლები ნაგავთან სწორი მოქცევის გამო. შესაბამის ადგილას გადაყრილი ნარჩენებისთვის, ბელგიელები სპეციალურ ვაუჩერებს მიიღებენ, რომელთა გადაცვლა ბონუსებში შეეძლებათ. ჯილდოებს შორისაა, ფასდაკლება კომუნალურ გადასახადებზე, უფასო ბილეთი მუზეუმში ან რამე ნივთი აქციის პარტნიორ მაღაზებში. ვაუჩერის მიღება შესაძლებელი იქნება სპეციალური აპლიკაციით მას შემდეგ, რაც ბელგიელები სწორად გადაყრილი ნაგვის ფოტოს ატვირთავენ.

გენიალურობის გენი აღმოაჩინეს

ლონდონის „კინს კოლეჯის“ სპეციალისტებმა ადამიანში გენიალურობის გენს მიაკვლიეს. როგორც მკვლევარებზე დაყრდნობით, BBC იუწყება, გენის მომატებული აქტიურობა, რომლის კოდური სახელწოდებაა NPTN და პასუხისმგებელია რუხი ნივთიერების სიმკვრივეზე, იწვევს ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების ზრდას. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის გენიალურობა დამოკიდებულია ამ გენის მუშაობის განსაკუთრებულობაზე, – აღნიშნავენ სწავლულები. მკვლევარები შეეცადნენ ადამიანების ინტელექტუალურ პოტენციალს შორის განსხვავების მიზეზები გაერკვიათ. აღმოჩნდა, რომ ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ ხდება ნეირონებს შორის ინფორმაციის გაცვლა. ამ უკანასკნელს კი NPTN-გენის აქტიურობა განაპირობებს. გენიალურობა, ფაქტობრივად, წარმოადგენს თავის ტვინის შესაძლებლობას კომუნიკაციისა და ინფორმაციის დამუშავების მიმართ, – ამბობენ მეცნიერები.

ტირილი სიცოცხლეს ახანგრძლივებს?

თუ ადამიანი ცრემლებს იკავებს, მავნე ნივთიერებები გროვდება, რაც შემდგომში ხელს უწყობს გულის დაავადებების განვითარებას. სპეციალისტების თქმით, ქალის ცრემლები არა მხოლოდ სისუსტის გამოვლინებაა, არამედ, სიცოცხლის გახანგრძლივების შესაძლებლობაცაა. სწავლულებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის შედეგებიც ორგანიზმზე ცრემლების დადებით გავლენაზე მიუთითებს. ისინი ამტკიცებენ, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად ტირიან, ვიდრე მამაკაცები და სწორედ ამ ფაქტორით აიხსნება ის, რომ ქალბატონები კაცებზე მეტხანს ცოცხლობენ. ტირილი ემოციურ შვებას უკავშირდება. ცრემლებთან ერთად, ადამიანი საკუთარი სტრესის მიზეზებსაც უშვებს. ექსპერიმენტის მონაწილეთა 90%-მა დარწმუნებით განაცხადეს, რომ ტირილის შემდეგ თავს გაცილებით უკეთ გრძნობენ. გარდა ამისა, ცრემლებს ორგანიზმიდან გამოჰყავთ ნივთიერებები, რომლებიც სტრესის განვითარებას უწყობენ ხელს და ადამიანზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენენ. თანაც, ტირილს ხშირად თან ახლავს ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთვა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კორტიზოლის (სტრესის ჰორმონის) დონეს.

დიაბეტის განვითარებაში პესტიციდებია დამნაშავე



მსოფლიოში დიაბეტით დაავადების მკვეთრი ზრდა, შესაძლოა, გარემოს პესტიციდებითა და სხვა მავნე ქიმიკატებით დაბინძურების შედეგი იყოს, – ასეთი ჰიპოთეზაა გამოთქმული სამხრეთ კორეელი მეცნიერების გამოკვლევებში. მეორე ტიპის დიაბეტის რისკის მთავარ ფაქტორად სიმსუქნეს მიიჩნევენ, თუმცა ახალი მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი შეიძლება იყოს, ეგრეთ წოდებული, გარემოს მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები (მოდ) – ის ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება პესტიციდების, ტექნიკური ემულსიების, საღებავებისა და სხვათა წარმოებაში. დღეისათვის მოდ-ის უმრავლესობის წარმოება აკრძალულია, თუმცა მათ კვლავ დიდი რაოდენობით შეიცავს გარემო და ისინი ხვდებიან საკვებ ჯაჭვში, რომლის ბოლო რგოლსაც ხშირად ადამიანი წარმოადგენს.

ძუძუმწოვრების ორგანიზმში მოდ-ი, როგორც წესი, ცხიმოვან ქსოვილებში გროვდება. სამხრეთ კორეის დეგუს უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ მეორე ტიპის დიაბეტის განვითარების რისკი პირდაპირპროპორციულია ადამიანის ორგანიზმში ყველაზე უფრო გავრცელებული მოდ-ის კონცენტრაციისა. მეცნიერთა ახალი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ სხეულის ზედმეტ წონასა და სიმსუქნეს ინსულინური რეზისტენციულობის (მეორე ტიპის დიაბეტის წინაპირობა) განვითარებამდე იმ შემთხვევაში მივყავართ, თუ ამ გადახრებს სისხლში პესტიციდებისა და პოლიქლორბიფენილების დონის მატება ახლავს თან. სწავლულთა თქმით, გამოკვლევების შედეგები იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ დიაბეტის განვითარების მთავარი ფაქტორი უშუალოდ ცხომოვანი ქსოვილების სიჭარბე კი არა, არამედ, მასში მავნე ქიმიური ნაერთების არსებობაა.

როგორ ხდება მოდ-ის მიზეზით დიაბეტის განვითარება, ეს საკითხი ჯერჯერობით შეუსწავლელია. თუმცა, კორეელ მეცნიერებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ ამ მხრივ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ნამდვილად არსებობს. ამაზე თუნდაც იმ ამერიკელი მფრინავების მაგალითი მიუთითებს, რომლებიც ვიეტნამის ომის დროს ჯუნგლებში პესტიციდებს შლიდნენ – მათ უმრავლესობას მეორე ტიპის დიაბეტი სჭირს. ასეთივე პრობლემები აქვთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც მოდ-ით ძალიან დაბინძურებულ რაიონებში ცხოვრობენ.

მთქნარება ტვინს ასტიმულირებს

დაღლილობის, მოწყენილობის, ან ძილის მორევის დროს, თავის ტვინში შემაფერხებელი პროცესორები აღმგზნებ პროცესორებს ჯობნიან. ნელდება ორგანიზმის სხვა ფუნქციებიც, მათ შორის, სუნთქვისაც – ის უფრო ნელი და ღრმა ხდება, რის შედეგადაც სისხლში ნახშირორჟანგის მჟავა დ ნივთიერებათა ცვლის სხვა პროდუქტები გროვდება, რომლებიც ზემოქმედებენ თავის ტვინის სასუნთქ ცენტრზე, რაც იწვევს მთქნარებას. ღრმა და ნელი ჩასუნთქვისას, სისხლი ჟანგბადით მდიდრდება. მთქნარებაში მონაწილე პირის ღრუს, სახისა და კისრის კუნთები კი ხელს უწყობს სისლის მიწოდებას. ყოველივე ეს აუმჯობესებს ტვინის უჯრედების სისხლის მომარაგებისა და ცვლის პროცესებს. მთქნარებისას, ადამიანი იზმორება კიდეც, ამ დროს იჭიმება ხელ-ფეხი და ზურგის კუნთები, რაც ხელს უწყობს თავის ტვინის ქერქის ტონუსის შენარჩუნებას. სწორედ ამ პროცესს და კიდევ, თავის ტვინის მუშაობას ააქტიურებს მთქნარება.

უნდა აღინიშნოს, რომ მთქნარება სულაც არ არის ძილისა და მოწყენილობის თანამდევი პროცესი. ამ დროს არც დაღლილობასა და არც მოწყენილობაზე ლაპარაკი არ იქნება სწორი. პირიქით, ორგანიზმის ყველა სისტემა ამ დროს მობილიზებულია. საქმე ის არის, რომ ძლიერი ემოციური დატვირთვისას და საფრთხისას ირთვება მექანიზმი, რომლის დროსაც ადამიანი სუნთქვას იკრავს – ნელა და ღრმად იწყებს სუნთქვას, რაც იწვევს მთქნარებას. ამ დროს სისხლი ჟანგბადით ისება, ტვინს უკეთესად მიეწოდება და ორგანიზმიც უკვე საბრძოლო მზადყოფნაშია. თუ დავუკვირდებით, მთქნარების დროს, თავს უფრო მსუბუქად გრძნობს ადამიანი, ორგანიზმი დუნდება და სასიამოვნო შეგრძნება ეუფლება. ეს კი იმაზე მოწმობს, რომ მთქნარება ხელს უწყობს ემოციური სტრესის მოხსნასაც. საღამოს კი, დატვირთული დღის შემდეგ, ორგნიზმი მთქნარებით ცდილობს განტვირთვას და მშვიდი ძილისთვის ემზადება.

კივი საშიშ დაავადებებს აჩერებს

კივის რეგულარულად მოხმარებას შეუძლია ზოგიერთი საშიში დაავადება შეაჩეროს. მას შეიძლება ქალებისთვის იდეალური პროდუქტი ვუწოდოთ – ის ჭარბ წონასთან ბრძოლაში გვეხმარება, წარმოუდგენლად სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის და ასევე, ახალგაზრდობისა და სილამაზის შესანარჩუნებლად. კივის სამშობლო ჩინეთია. მისი სახელი კი ფრინველ კივისთან მისმა მსგავსებამ განაპირობა. რატომ უნდა მიირთვათ რეგულარულად კივი? იმიტომ, რომ ერთი ცალი ეს ხილი „ცე“-ვიტამინის დღიურ ნორმას შეიცავს და ორგანიზმის იმუნურ სისტემას, სისხლძარღვებს აძლიერებს, ეხმარება ორგანიზმს სტრესთან ბრძოლაში. გარდა ამისა, კივი ნაწლავების მუშაობას აუმჯობესებს. შაკმარისია, დღეში ორი ცალი მიირთვათ, რომ კუჭის შეკრულობას მოიხსნით. თუ სადღესასწაულო სუფრაზე ბევრი მიირთვით და კუჭში სიმძიმე იგრძენით, მაშინვე წამლებისკენ ნუ გაიქცევით. უბრალოდ, ორი-სამი ცალი კივი მიირთვით. ნორვეგიელი სწავლულების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ ამ ხილს შეუძლია ცხიმების დაწვა, რომელიც არტერიებს ბლოკავს და ამ გზით, თრომბების წარმოქმნის რისკს ამცირებს. დღეში სამჯერ კივის მიღება სისხლის წნევას ამცირებს. კივის რეგულარულად მოხმარებას შეუძლია ზოგიერთი, მეტად საშიში დაავადება – ათეროსკლეროზი, გულის უკმარისობა, ალცჰაიმერი, პარკინსონი და კიბო შეაჩეროს. აღსანიშნავია, რომ კივის კანი უფრო მეტ ანტიოქსიდანტებს შეიცავს, ვიდრე მისი რბილობი. მას ანტისეპტიკური თვისებები აქვს და ხელს უშლის მავნე ბაქტერიების გავრცელებას კუჭში. თუ კივის კანიანად მირთმევას გადაწყვეტთ, ის ჯერ საგულდაგულოდ გარეცხეთ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.